# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 1 ნოემბერი 2006 №253 (2875) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსთავის ოლიმპმა დასწრებაზე ითამაშა

## შინაური ვერდიქტი: ხოჯავა — 1000, დვალიშვილი — 500, მიქიაშვილი — 500, აფციაური — 200, სეთურიძე — 200

ამ შემოდგომაზე ეროვნულ ჩემპიონატში სკანდალები ყურძნის მოსავალივით მოხვავდა. კვირას „მიხეილ მესხზე" მომხდარი გუნდური ჩხუბი ჰაი-ჰარად არ ჩაივლის — არ ვიცით, რას იზამს „დინამოს" ხელმძღვანელობა, მაგრამ რუსთავის „ოლიმპის" მესვეურებმა კი დასაჯეს თავიანთი ფეხბურთელები.

გუშინ „ოლიმპის" კრებაზე ყველაზე მეტად გოჩა ხოჯავა დაზარალდა — კლუბმა მას წრის ბოლომდე მისცა დისკვალიფიკაცია და 1000 ლარითაც დააჯარიმა. ვლადიმერ დვალიშვილს 500 ლარით შეუთხელდა ჯიბე, ბესიკ მიქიაშვილი ასევე 500 ლარს მოიკლებს და ზედაც ორ თამაშს გამოტოვებს, თორნიკე აფციაური და გიორგი სეთურიძე კი 200-200 ლარით დაჯარიმდნენ. საყვედურები და მცირეხნიანი დისკვალიფიკაციები გამოეცხადათ გუნდის მწვრთნელებს.

ეს „ოლიმპის" ხელმძღვანელთა რეაქციაა, დღეს, 12 საათზე კი „დინამო" — „ოლიმპის" ომობანაზე სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტი გამოიტანს ვერდიქტს.

# ტოპმიოლერის საურუგვაიო ახლეული: სირაძე, ბურდული, ქვაჩახია, წინამძღვრიშვილი



ზურაბ ხიზანიშვილი დისკვალიფიცირებულია; გოგა გახოკიძე, მალხაზ ასათიანი, მათე ღვინიანიძე, ოთარ მარცვალაძე და ლაშა ჯაკობია ტრავმირებულნი არიან; ფეხმტკივანმა შოთა არველაძემ ამხანაგურ მატჩებში დასვენება თავად ითხოვა; ალექსანდრე იაშვილი, ირაკლი მოდებაძე, ვასილ გიგიაძე და კახა ალადაშვილი კი ის ფეხბურთელები არიან, რომლებიც ბოლო სანაკრებო მატჩებისას გამოძახებულნი იყვნენ, მაგრამ ამჯერად კლაუს ტოპმიოლერი მათ არ დაეყრდნო.

მოკლედ, 15 ნოემბერს ურუგვაისთან სათბილისო ამხანაგური თამაშისთვის ტოპმ ნაკრების 18-კაციანი სია დაასახელა და, როგორც ველოდით, ახალი სახეებიც გამოჩნდნენ: აუე-ს ფორვარდი დავით სირაძე და „კრივბასის" ნახევარმცველი ლადო ბურდული კარგ ფორმაში არიან და მათი გამოძახება მოსალოდნელი იყო — ისინი პირველად ითამაშებენ ტოპმიოლერისეულ ნაკრებში.

სიაში საქართველოს ჩემპიონატიდან ორი ფეხბურთელია და ორივე ამერელი: მეკარე ზურაბ ქვაჩახია და 18 წლის ფორვარდი რატი წინამძღვრიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ სათამაშო პრაქტიკა აკლიათ, ჰერ კლაუსმა ყაზანის „რუბინის" სამ ფეხბურთელს უხმო — ნუკრი რევიშვილს, ლაშა სალუქვაძეს და მიხეილ აშვეთიას.

### მეკარეები

გიორგი ლომაია (ლუჩ-ენერგია, რუსეთი), ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), ზურაბ ქვაჩახია (ამერი)

### მცველები

ოთარ ხიზანეიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), კახა კალაძე (მილანი, იტალია), გიორგი შაშიაშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ილია კანდელაკი (ჩერნომორეცი, უკრაინა), დავით იმედაშვილი (დინამო, უკრაინა), ლაშა სალუქვაძე (რუბინი, რუსეთი)

### ნახევარმცველები

ლევან კობიაშვილი (შალკე, გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (პანიონიოსი, საბერძნეთი), ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა), დავით მუჯირი (კრილია, რუსეთი), ზურაბ მენთეშაშვილი (შინიკი, რუსეთი), გოგიტა გოგუა (ნალჩიკი, რუსეთი), დავით კვირკველია (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), ლადო ბურდული (კრივბასი, უკრაინა)

### თავდამსხმელები

მიხეილ აშვეთია (რუბინი, რუსეთი), გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი, დონეცკი, უკრაინა), რატი წინამძღვრიშვილი (ამერი), დავით სირაძე (აუე, გერმანია)

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# სამუზეუმო მატჩი

## ლამპარდი და დროგბა:




AFP

# სამუზეუმო გოლით





AFP

## ბარსას არ წაუგია, მაგრამ დამარცხდა

# იყო სკანდალი? სასჯელიც იქნება!

## შეიძლება, უპრეცედენტოც



დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი „დინამო“ — „ოლიმპის“ მატჩის შემდეგ მომხდარ გახმაურებულ ამბებზე იმსჯელებს და, სავარაუდოდ, წესრიგის დამრღვევთა მიმართ სანქციები მკაცრი იქნება.

გასარჩევ-სალაპარაკო კომიტეტის წევრებს კი მართლაც ბლომად ექნებათ, ნამატჩევს ხომ გუნდი გუნდს წაეკიდა და წიხლ-მუშტი ბევრი ვნახეთ.

რას და როგორ გადაწყვეტილებებს უნდა ველოდოთ სადისციპლინო კომიტეტის დღევანდელი სხდომისგან? სკანდალის მაშტაბის გათვალისწინებით, იქნება თუ არა უპრეცედენტო სასჯელი? გუშინ სადისციპლინო კომიტეტის წარმომადგენელს თემურ ღალანიძეს ამ და სხვა კითხვებით მივმართეთ და აი, მისი პასუხებიც...

— სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ოთხშაბათს 12 საათზე დაიწყება და, ცხადია, მეტწილად „დინამო“ — „ოლიმპის“ გახმაურებული მატჩის ამბებს განვიხილავთ. ჩემ გარდა სხდომაზე ტატო ლასხიშვილი, ზურაბ პეტრიაშვილი და ზვიად დარასელი იქნებიან. რა თქმა უნდა, მოვიწვევთ ორივე გუნდის წარმომადგენლებს, მსაჯებსა და ამ ფაქტის სხვა მხილველებს.

— ახალ სადისციპლინო კოდექსში პირდაპირ არის მითითებული, ასეთი დარღვევისას ვინ რა სახის სასჯელს იმსახურებს. გეხსომებათ, ადრე „ტორპედო“ — „თბილისის“ შეხვედრისას გუნდებმა იჩხუბეს, მატჩი კი ჩაიშალა და ჩვენი სასჯელიც შესაბამისი იყო, ორივე გუნდს წაგება ჩავუთვალეთ და კონკრეტული ფეხბურთელებიც დავსაჯეთ. ახლა სხვა შემთხვევაა, მართალია, ისევ გუნდი გუნდზე ჩხუბი იყო, მაგრამ ეს თამაშის შემდეგ მოხდა, მატჩი არ ჩაშლილა და, როგორც კოდექსი ითვალისწინებს, ამჟამად მხოლოდ ჩხუბში მონაწილენი დაისჯებიან.

— სამწუხაროდ, „დინამო“ — „ოლიმპის“ მატჩს ვერ დავესწარი, თუმცა ჩხუბის ვიდეოჩანაწერი რამდენჯერმე ვნახე. იქ ნათლად ჩანს, ვინ მუშტებს და წიხლებს იქნევს და ვინ გამშველებელია. ცხადია, ხელს არავის დავაფარებთ და დამნაშავეებს საკადრისად დავსჯით. შესაძლოა, რამდენიმე ფეხბურთელმა ჩვენი ჩემპიონატისთვის უპრეცედენტოდ მკაცრი დისკვალიფიკაციაც მიიღოს. დისკვალიფიკაციის გარდა დამრღვევებს, რა თქმა უნდა, ფულადი ჯარიმაც დაეკისრებათ.

— სხვათა შორის, ჩვენ ბოლნისის „სიონის“ თავკაც კახა ცხადაძეს სეზონის ბოლომდე შევუჩერეთ მწვრთნელის ლიცენზია და, ვფიქრობ, ეს სასჯელი სხვა მწვრთნელებისთვის უკვე სამაგალითოა. ბოლო დროს მწვრთნელთა მხრიდან არანაირი დარღვევა არ ყოფილა.

— საქართველოს ჩემპიონატში ისეთი არაფერი ხდება, რაც სხვაგან არ არის. სამხრეთ ამერიკაში და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ძალიან ხშირია ჩხუბი და არეულობა მატჩის შემდეგ. ეს ყველაფერი კი სამხრეთული ტემპერამენტის ბრალიცაა.

*ვნახოთ, დაველოდოთ, რას იტყვის სადისციპლინო კომიტეტი, რომელიც დღესვე ლანჩხუთში, პირველი ლიგის „გურია“ — „მესხეთის“ სკანდალურად ჩაშლილი მატჩის ამბებსაც გაარჩევს.*

**კობა ინასარიძე**

შ.პ.ს საფეხბურთო კლუბ
რუსთავის „ოლიმპის“ კრების

## ოქმი №1

თბილისი. 31 ოქტომბერი 2006წ.

ესწრებოდნენ: ბ. ქარქაშაძე, მ. გუგეშაშვილი, გ. კიკნაძე, ზ. ზამთარაძე, გ. ბაბუაძე, გ. ლაბაური და კლუბის ფეხბურთელები: მიხეილ ალავიძე, გიორგი კახელიშვილი, ვახტანგ კვარაცხელია, ბესარიონ მიქიაშვილი, რევაზ ნაჭყეპია, ირაკლი სირბილაძე, გელა ხუბუა, ვლადიმერ დვალიშვილი, მიხეილ მახვილაძე, გიორგი ონიანი, როინ ონიანი, გიორგი სეთურიძე, ლაშა ქებაძე, თორნიკე აფციაური, რევაზ გეწაძე, ლაშა მიმინოშვილი

**დღის წესრიგი:**

1. თბილისის „დინამოსა“ და რუსთავის „ოლიმპის“ ა/წ 29 ოქტომბერს საქართველოს პირველობის მე-10 ტურის მატჩის შემდგომ მომხდარი ინციდენტის შესახებ

მომხსენებელი მ. გუგეშაშვილი

I. მოისმინეს მამუკა გუგეშაშვილის ინფორმაცია თბილისის „დინამოსა“ და რუსთავის „ოლიმპის“ ა/წ 29 ოქტომბერს საქართველოს პირველობის მე-10 ტურის მატჩის შემდგომ მომხდარი ინციდენტის შესახებ.

სიტყვით გამოვიდნენ: ბ. ქარქაშაძე, გ. კიკნაძე, ზ. ზამთარაძე, რ. ონიანი, მ. მახვილაძე

დაადგინეს: მომხდარ ინციდენტში მონაწილე კლუბის წევრები არასპორტული საქციელის გამო, დასჯილ იქნან შემდეგი საჯარიმო სანქციებით:

— უფროს მწვრთნელს გიორგი კიკნაძეს გამოეცხადოს საყვედური;

— მწვრთნელ ზაზა ზამთარაძეს გამოეცხადოს საყვედური და დისკვალიფიცირებულ იქნას 1 თამაშით;

— მწვრთნელ გიორგი ბაბუაძეს გამოეცხადოს საყვედური და დისკვალიფიცირებულ იქნას 2 თამაშით;

— ფეხბურთელი გოჩა ხოჯავა დისკვალიფიცირებულ იქნას მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის ბოლომდე, პირობითად ჩემპიონატის ბოლომდე და დაჯარიმდეს 1 000 (ათასი) ლარით;

— ფეხბურთელი ბესიკ მიქიაშვილი დისკვალიფიცირებულ იქნას 2 თამაშით და დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით;

— ფეხბურთელები თორნიკე აფციაური და გიორგი სეთურიძე დაჯარიმდნენ თითოეული 200 (ორასი) ლარით;

— ვლადიმერ დვალიშვილი დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.

*სხდომის თავმჯდომარე: ბ. ქარქაშაძე*
*მდივანი: გ. ლაბაური*

# სკანდალი, მსაჯობა, ცილისწამება



## გამგეობამ ითათბირა

**გუშინ** საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გამგეობის სხდომა გაიმართა. პროფლიგის ხელმძღვანელობის გარდა შეხვედრას ოთხი კლუბის წარმომადგენლები დაესწრნენ — თბილისის „დინამოს“ მმართველი დირექტორი გიორგი ტყავაძე და ტექნიკური დირექტორი ამირან ლიბრაძე, თბილისის „ამერის“ პრეზიდენტი ზურაბ ფოცხვერია და გენერალური მენეჯერი ვახტანგ ბზიკაძე, თბილისის „ლოკომოტივის“ მესვეური ვაჟა თოფურია და დირექტორი დიმიტრი ობოლაძე, „ვიტ ჯორჯიას“ გენერალური მდივანი მალხაზ კაკაურიძე.

სხდომაზე „დინამო — „ოლიმპის“ სკანდალურ მატჩსა და ზოგადად მსაჯობაზე ისაუბრეს, იმსჯელეს რამდენიმე კონკრეტულ ფაქტზეც. როგორც შევიტყვეთ, ითქვა „ამერი“ — „ლოკომოტივის“ თამაშისას მომხდარზეც, როცა არბიტრმა მალხაზ ბეუქლიშვილმა ქომაგს შეაგინა.

ცილისმწამებლური განცხადებები კლუბების წარმომადგენლებისგან — შეხვედრაზე ამ თემასაც შეეხნენ — რაღაც მექანიზმი უნდა შემუშავდეს, ასეთი რამეები რომ არ მოხდესო.

სჯა-ბაასი იყო საქართველოს თასის გათამაშებაზეც. ერთ-ერთი კომპანია დაინტერესებულია, თასის გათამაშებას საპრიზო ფონდი დაუწესოს. თანხა მხოლოდ ნახევარფინალისტებს და ფინალში გასულ გუნდებს შეხვდებათ. თასის გათამაშებას კომპანიის სახელი დაერქვას — ასეთია პროექტი, რომელიც კლუბების წარმომადგენლებმა მოიწონეს. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ამის თაობაზე პროფლიგის კონფერენცია მიიღებს.

**დავით თავართქილაძე**

# მერანი — ამერი ამერი — მერანი?

**მეთერთმეტე** ტურის „მერანი“ — „ამერის“ მატჩი ახალ სტადიონზე უნდა გამართულიყო. „მერანის“ ახალი სარბიელის გახსნა სწორედ მომავალ კვირას იგეგმებოდა, მაგრამ იქამდე სამუშაოების სრულყოფილად დასრულება ვერ ესწრება. ამიტომაც, შესაძლოა, თამაშის ადგილი შეიცვალოს და მატჩი „ამერზე“ გაიმართოს.

ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, ამ გუნდების სამეორეწრეო შეხვედრა „მერანის“ სტადიონზე ჩატარდება.

**ლუკა თალაკვაძე**

# ყველაზე რუსული კითხვა: რა ვაკეთოთ?



**რუსულ** პრემიერლიგაში ლეგიონერების რაოდენობის შემცირებაზე ლამის მთელი მთავრობა მუშაობს. გუშინ ამის თაობაზე კომენტარი რუსეთის ვიცე-პრემიერმა ალექსანდრ ჟუკოვმაც გააკეთა და მისი ნაუბარი წინამორბედთაგან განსხვავებით, ცოტა არ იყოს, შერბილებული გვეჩვენა...

„ლეგიონერთა რაოდენობის შემცირება აუცილებელია. ამ გზით მიდის ყველა ქვეყანა და ჩვენც არ უნდა ჩამოვრჩეთ. მართალია, ლეგიონერების ჩვენთან თამაში კატასტროფა არ არის, მაგრამ აქცენტი მხოლოდ მაღალი დონის მოთამაშეებზე უნდა გავაკეთოთ. მოკლედ, უნდა შევამციროთ რაოდენობა და თუ დავიტოვებთ, მხოლოდ კარგ ლეგიონერებს“.

კეთილი. რუსეთი და რუსული ფეხბურთი რა გზით წავლენ, ეს მათი საქმეა, ვინმე ლარი კინგსტონიც თუ ისო კანიენდაც თავიანთ გზას ნახავენ. ობიექტურად თუ შევხედავთ, რუსების გადაწყვეტილება გასაგებიცაა — მათ არ სურთ, ყოველ რუსულ კლუბში ნახევარზე მეტი „გადამთიელი“ იყოს. თუ არ სურთ და, მოუგვარონ უცხოელებს ფინანსურ-იურიდიული საკითხები და რუსებს კალთებს არავინ დაახევს. ჩვენ კი ჩვენი გვედარდება: ემანდ „გადამთიელებად“ მხოლოდ ქართველები არ ჩაითვალონ...

ისე, რუსულ ფორუმებში იქაური გულშემატკივრებიც ბევრს წერენ შემცირებაზე, ოღონდ არა ლეგიონერების, არამედ, მთავრობის წევრების...

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გალიზიანებულები და ცხვირგატეხილები

პირველი ლიგის ბოლო მე-13 ტურის „გურია“ — „მესხეთი“ მე-60 წუთზე შეწყდა: ფეხბურთელებს შორის ჩხუბი ატყდა. ამ ინციდენტზე კომენტარი ლანჩხუთის „გურიას“ ხელმძღვანელ დურმიშხან ჩხაიძეს ვთხოვეთ...



## ყველაზე მეტი გამშველებლებს მოხვდათ

— ვერ წარმომედგინა, ასეთი ინციდენტი თუ მოხდებოდა. „მესხეთს“ იმის ამბიცია აქვს, რომ უმაღლეს ლიგაში გადავიდეს, ჩვენი მიზანი კი ამ დროისთვის ის არის, რომ გუნდი არ დაგვეშალოს. ერთი წელია, „გურიას“ ხელფასი არ მიუღია. ამან თავისი გავლენა იქონია ამ მატჩში მომხდარ ინციდენტზე. ეს ჩვენი პრობლემაა და „მესხეთი“, რა თქმა უნდა, აქ არაფერ შუაშია.

— **ხმა დაირხა, „მესხეთმა“ „გურიას“ სთხოვა, თამაში დაგვითმეთო...**

— იმ თამაშის დღეს ლანჩხუთში არ ვყოფილვარ და ამის თაობაზე არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. არა მგონია, მსგავსი რამ მომხდარიყო.

— **რაც მოხდა, იმაზე რა ინფორმაცია გაქვთ?**

— პირველ ტაიმში „მესხეთი“ „გურიაზე“ კარგად თამაშობდა და გოლიც გაიტანა, მეორე ტაიმში კი „გურია“ უკეთ ათამაშდა... სამწუხაროდ, მატჩი ჩაიშალა. დასახიჩრებული არავინაა. ყველაზე მეტად „მესხეთში“ მოთამაშე ლანჩხუთელი ფეხბურთელები დაზარალდნენ — ტარიელ და რეზო კუკულაძეები — გამშველებლებს მეტი მოხვდებაო, ამაზეა ნათქვამი.

— **ინციდენტი როგორ დაიწყო?**

— ჯარიმა დაინიშნა ზვიად ენდელაძის მოცელვისთვის. „მესხეთის“ ფეხბურთელმა ბურთი ხელში აიღო, ალბათ დროის გასაყვანად, ლანჩხუთელი იმნაიშვილი კი ბურთს ართმევდა.

— **მაყურებელი გადავიდა მოედანზე?**

— დარწმუნებით ვერ გეტყვით, ზოგი მეუბნება, ოთხი-ხუთი გულშემატკივარი გადავიდა მოედანზეაო, ზოგი მეუბნება, არავინ გადასულაო.

— **ვიდეოფირი არ არსებობს?**

— ჩვენ არ გაგვაჩნია ფირი.

— **ჩხუბის შედეგად ტრავმები ბევრია?**

— ტრავმები მეტწილად „მესხეთის“ ფეხბურთელებს აქვთ, ჩვენთანაც არის ერთი-ორი ცხვირგატეხილი.

— **სადისციპლინო კომიტეტისგან რას ელით?**

— ალბათ „გურიას“ სანიმუშოდ დასჯიან. ჩვენ რომ ვინმეს ვუნდოდეთ, ან რაიონს, ან ქვეყანას, ასე არ ვიქნებოდით, გუნდი მხოლოდ ენთუზიაზმით არსებობს. არ ვმალავ, რომ დასასჯელები ვართ, ასეთი ფაქტი არ უნდა მოხდეს. ვფიქრობ, ყველაფერი მაინც ჩვენი გუნდის გარშემო შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია — მშიერი გუნდი ვართ, გაღიზიანებული...

**დავით თავართქილაძე**

# სათბილისო ტაბარესია

**ურუგვაის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოსკარ ტაბარესმა ის 22 ფეხბურთელი დაასახელა, რომელთაც 15 ნოემბრის ამხანაგური მატჩისთვის თბილისში ჩამოიყვანს.

ტაბარესმა ყველა უძლიერესი ფეხბურთელი გამოიძახა, თუმცა ჯერაც არაა გადაწყვეტილი, შეძლებენ თუ არა თამაშს ინტერელი ალვარო რეკობა და შალკელი დარიო როდრიგესი — ისინი ფეხს იტკივებენ.

და ერთიც: საინტერესოა, რომ ურუგვაის ნაკრების ოცდაორივე ფეხბურთელი ლეგიონერია...

**ბაჩა შალამბერიძე**



*სათბილისო ურუგვაი: ფაბიან კარინი (ინტერი, იტალია), კარლოს ვალდესი (ტრევიზო, იტალია), გილერმო ჯაკომაცი (ლეჩე, იტალია), ალვარო რეკობა (ინტერი, იტალია), სებასტიან ვიერა (ვილიარეალი, ესპანეთი), კარლოს დიოგო (სარაგოსა, ესპანეთი), პაბლო გარსია (სელტა, ესპანეთი), ფაბიან კანობიო (სელტა, ესპანეთი), ფაბიან ესტოიანოფი (დეპორტივო, ესპანეთი), დიეგო ფორლანი (ვილიარეალი, ესპანეთი), მარიო რეგეირო (ვალენსია, ესპანეთი), ანდრეს სკოტი (რუბინი, რუსეთი), დიეგო ლუგანო (ფენერბაჩე, თურქეთი), დარიო როდრიგესი (შალკე, გერმანია), გუსტავო ვარელა (შალკე, გერმანია), მაურისიო ვიქტორინო (ვერაკრუზი, მექსიკა), სებასტიან აბრეუ (მონტერეი, მექსიკა), ვისენტე სანჩესი (ტოლუკა, მექსიკა), ჟორჟე ფუსილე (პორტუ, პორტუგალია), დიეგო პერესი (მონაკო, საფრანგეთი), გონსალო ვარგასი (მონაკო, საფრანგეთი), ომარ პოუსო (ჩარლტონი, ინგლისი).*

# 17 და 19-წლამდელები: ბანაკი პორტუგალიაში

**საქართველოს** 17 და 19-წლამდელთა ნაკრები გაისად პორტუგალიურ ოთხთა ტურნირში ითამაშებენ — ეს ტურნირები 2008 წლის ევროშესარჩევისთვის მოსამზადებლადაა გათვლილი.

პირინეის ნახევარკუნძულს ჯერ 19-წლამდელები ეწვევიან, ტურნირი 28 თებერვლიდან 5 მარტამდე გაიმართება, სადაც ქართველთა გარდა, პორტუგალიელები, ბელგიელები და ირლანდიელები მიიღებენ მონაწილეობას.

17-წლამდელები კი 5-11 აპრილს ითამაშებენ პორტუგალიაში, სადაც ჩვენების და მასპინძლების გარდა, დანიის და ფინეთის ნაკრებები იბურთავებენ — მატჩები 7, 8 და 10 აპრილს გაიმართება.

შეგახსენებთ: ქართველები პორტუგალიაში წლეულს იანვარშიც იყვნენ ტურნირზე — ლაპარაკია 21-წლამდელთა ნაკრებზე.

**ილია ნანოგაშვილი**



19-წლამდელთა ნაკრების თავკაცი ჰაინც ტოპმიოლერი

# კვირკველია კვირას იქნება



**საქართველოს** ნაკრებისა და ზაპოროჟიეს „მეტალურგის“ ნახევარმცველმა დავით კვირკველიამ უკრაინის ჩემპიონატის ბოლო ორი ტური გამოტოვა.

კვირკველიამ ფეხი უკვე მოირჩინა და ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიშობს. როგორც შევიტყვეთ, 5 ნოემბერს ალჩევსკის „სტალის“ წინააღმდეგ აუცილებლად ითამაშებს და ურუგვაის ნაკრებთან შეხვედრისთვისაც თბილისში იქნება.

„ტრავმა თითქმის ბოლომდე მოვირჩინე, უკვე სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. უახლოეს შეხვედრაში ალბათ ვითამაშებ. ურუგვაის ნაკრებთან თამაშამდე ჯერ კიდევ დროა და ფორმის აღდგენასაც მოვასწრებ“ — გვითხრა გუშინ დათომ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ლანჩხუთის მოწმე

## კრიჭაშვილმა ჯარიმა დადო და პროვოკაცია გამორიცხა



დღეს სადისციპლინო კომიტეტი შეიკრიბება და ბოლო დღეებში მომხდარ სამარცხვინო ფაქტებზე იმსჯელებს. ერთ-ერთი მათგანი ლანჩხუთში დატრიალებული „სისხლიანი დრამაა“.

ჩვენ კი ლანჩხუთის ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონზე მომხდარი ინციდენტის თვითმხილველს, შეხვედრის არბიტრ ალექსანდრე კრიჭაშვილს გუშინ დავუკავშირდით და დეტალებში გარკვევა ვთხოვეთ...

— **როგორ დაიწყო ყველაფერი?**

— ერთი შეხედვით, საკმაოდ ადვილად სამსაჯო შეხვედრა იყო. ფეხბურთელებს აგრესიულობისა არაფერი ეტყობოდათ. ინციდენტამდე რომელიმე მათგანი გაფრთხილებულიც კი არ მყავდა. ყველაფერი მოულოდნელად დაიწყო. დაახლოებით მე-60 წუთზე „მესხეთის“ კარისკენ ჯარიმა დავნიშნე. ბურთი ხელში სტუმარ ფეხბურთელს, ველა ძამუნაშვილს ეჭირა, მას ლანჩხუთელი ალექსანდრე იმნაიშვილი მივარდა. ბურთი ხელიდან გააგდებინა და გაარტყა. მესხეთელმა ფეხბურთელმაც ხურდა დაუბრუნა და ატყდა ხელჩართული ჩხუბი.

— **იმნაიშვილის ხელის გარტყმამდე ძამუნაშვილის მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა ან პროვოცირება ხომ არ ყოფილა?**

— არა. მე იქ ახლოს ვიდექი. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი რამ არ გამიგონია.

— **ჩხუბში მაყურებელიც ჩაერია?**

— დიახ.

— **მათი რაოდენობა ბევრი იყო?**

— ტრიბუნაზე 50-მდე გულშემატკივარი იჯდა, თუმცა მათგან ზოგი მოხუცი იყო, ზოგი ბავშვი... მოედანზე ყველა არ გადმოსულა. მერე პოლიციამ იმარჯვა და დროულად გაგვაშორა ინციდენტის ადგილს...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ქართველების „ფრაიბურგს" მეორე ბუნდესლიგის საწყის შვიდ ტურში ერთი მოგებაც კი არ ჰქონდა, თუმცა მიჯრით ორ თამაშში 6 ქულა აიღო და თანაც, ბუნდესლიგაში გადასვლის ერთ-ერთი ფავორიტი „კაიზერსლაუტერნი" მისსავე მოედანზე დაამარცხა — 3:1. საერთოდ, „ფრაიბურგისთვის" „კაიზერი" იღბლიანი მეტოქეა, თავის დროზე ბუნდესლიგაშიც გამოჭერილი ჰყავდა და ქართველებსაც ხშირად გაუტანიათ მის კარში გოლები.

ოთარ ხიზანეიშვილმა „კაიზერთან" ბოლო 38 წუთი ითამაშა, ალექსანდრე იაშვილი კი განაცხადშიც არ ყოფილა და, ბუნებრივია, მიზეზით დავინტერესდით...



# იაშვილი კაიზერში ფეხმა არ გაუშვა

## კობიაშვილი ბაიერნს ელის

— საზარდული დამეჭიმა და ამის გამო კაიზერსლაუტერნში ვერ წავედი. საშიში არაფერია, მომდევნო ტურში ალბათ ვითამაშებ.

— „ფრაიმ" მეცხრე ადგილზე აინაცვლა. ჩავთვალოთ, რომ ბუნდესლიგაში გადასვლას ისევ უმიზნებთ?

— მანამდე ცუდად ვთამაშობდით-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ რაღაც გვაკლდა და ვერ ვიგებდით. ბოლო სამ ტურში კი შვიდი ქულა ავიღეთ. ახლა ხუთი ქულაღა გვაშორებს მესამე ადგილს და ვნახოთ...

— გერმანულ პრესაში დაიწერა, „ფრაიბურგმა" იაშვილის არყოფნაში 4-4-2 სქემით ითამაშა და ამან გაამართლაო. ხომ არაა საშიშროება, რომ ფოლკერ ფინკემ მოგებული შემადგენლობა აღარ შეცვალოს და სათადარიგოთა სკამზე დაგსვას?

— ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ პარასკევს ალბათ ვითამაშებ.

— ოთარ. ხიზანეიშვილმა როგორ ითამაშა „კაიზერთან"?

— ნორმალურად. მართალია, შეცვლაზე შევიდა, მაგრამ მისი მინდორზე ყოფნის დროს გოლი არ გაგვიშვია. „ხიზანეიმ" შუა კვირაშიც კარგად ითამაშა თასზე.

— ლევან კობიაშვილს შეეხმიანებოდი და როგორ არის, ტრავმა ხომ არ გაურთულდა?

— როგორც თავად მითხრა, უახლოეს ტურში ითამაშებს — „შალკე" „ბაიერნს" მასპინძლობს და მთელი გერმანია ამ მატჩის მოლოდინშია.

**ილია ნანოგაშვილი**

# მათე ღვინიანიძემ კოორდინაციით დაიწყო

## ქართველი მცველი მიუნხენს ერთ კვირაში დაუბრუნდება



*იტალიასთან მატჩის წინ დაშავებულმა მეორე ბუნდესლიგის „მიუნხენის" მცველმა მათე ღვინიანიძემ ორკვირიანი მკურნალობის შემდეგ ვარჯიში ინდივიდუალური პროგრამით განაახლა და, როგორც თავად ამბობს, მომავალ კვირას სრული დატვირთვის მიღებასაც შეძლებს...*

— ახლა გაცილებით უკეთ ვარ, ტკივილები აღარ მაწუხებს, ორი დღეა, სირბილი დავიწყე და თან კოორდინაციაზე ვვარჯიშობ. გუნდთან ერთად ჯერ კიდევ არ ვარ, მაგრამ, როგორც ექიმებმა მითხრეს, ეს ორ-სამ დღეში შემეძლება. ჯერჯერობით ყველაფერი გაურთულებლად მიდის, ოთხიდან სამი მყესი მქონდა დაზიანებული, რასაც ერთთვიანი მკურნალობა სჭირდებოდა, თუმცა ჩანს, თამაშს მოსალოდნელზე ადრე მოვახერხებ.

— ანუ როდის?

— მეორე ბუნდესლიგის უახლოეს ტურს გამოვტოვებ, მომდევნო უქმეებზე კი ალბათ მათამაშებენ. ვფიქრობ, კიდევ ერთი კვირა საკმარისი იქნება ფორმის ბოლომდე თუ არა, ისე აღსადგენად, ერთი ტაიმი მაინც ვითამაშო. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელებს იმედი აქვთ, რომ გუნდს მალე დავუბრუნდები. მათგან ყურადღება არ მაკლია, ყოველდღე მეკითხებიან ჯანმრთელობის ამბავს და თავადაც ერთი სული მაქვს, როდის განვაახლებ თამაშს.

— იქამდე კი, შენს არყოფნაში „მიუნხენმა" უკვე ზედიზედ მესამე თამაში წააგო...

— არადა, ჩემპიონატი მართლაც კარგად დავიწყეთ, ხუთ შეხვედრაში სულ ერთი გოლი გვქონდა მიღებული და ლიდერთა შორისაც ვიყავით, მაგრამ შემდეგ გუნდის თამაში რატომღაც აირია, ბოლო ტურში სულაც 0:3 წავაგეთ. ორშაბათს გუნდის კრება იყო, დაახლოებით სამი საათი ილაპარაკეს, წარუმატებლობის მიზეზების ახსნას შეეცადნენ, ხელმძღვანელებმა ფეხბურთელები გაგვამხნევეს და ვნახოთ, რა გამოგვივა... „მიუნხენის" წლევანდელი მიზანი კი, რა თქმა უნდა, არ შეცვლილა — ბუნდესლიგაში დაბრუნება გვსურს.

— ორ-სამ დღეში თუ ვარჯიშს სრული დატვირთვებით განაახლებ და ერთ კვირაში თამაშსაც შეძლებ, ალბათ, უახლოესი სანაკრებო მატჩისთვისაც გამოგიძახებენ.

— ვერ გეტყვით, ვნახოთ, რა როგორ იქნება. ისე კი, რამდენიმე დღის წინ რალფ მინგე დამიკავშირდა და დეტალურად გამომკითხა მკურნალობის ამბავი. ხოლო როცა თამაში შემეძლება, შესაძლოა, ის „მიუნხენის" ერთ-ერთ შეხვედრასაც დაესწროს. ურუგვაისთან მატჩამდე ფორმა თუ აღვიდგინე, რა ვიცი, იქნებ გამომიძახონ.

**კობა ინასარიძე**

# სად გიგიაძე და სად დისკვალიფიკაცია?

## ვასია ნახევარი კრივბასია



უკრაინის ჩემპიონატის მეთორმეტე ტურში კრივოი როგის „კრივბასის" ქართველმა თავდამსხმელმა ვასილ გიგიაძემ თავის ყოფილ გუნდს, სიმფეროპოლის „ტავრიას" მე-2 წუთზევე გაუტანა ბურთი. ეს ვასოს მეშვიდე საამსეზონო გოლია. გიგიაძე „კრივბასის" უდავო ლიდერია და საინტერესოა, რომ გუნდის გოლების ნახევარზე მეტი მის ანგარიშზეა. ვასოს გუშინ უკრაინაში შევეხმიანეთ...

— ბოლო ტურში ბომბარდირთა დავაში დაწინაურდი, ბოლომდე აპირებ ბრძოლას?

— რა თქმა უნდა, თითქმის ყოველ ჩემპიონატში საკმაოდ გამაქვს გოლები, თუმცა ასეთი რეალური შესაძლებლობა ჯერ არ მქონია. მოხარული ვიქნები, თუ ამ მიზანს მივაღწევ. ისე, მეტიც უნდა გამეტანა, მაგრამ ზედიზედ ოთხი ტური „მშრალად" ჩავატარე. კარგია, რომ წარუმატებელი სერია უკვე დავძლიე.

— სეზონის წინ „კრივბასში" სერიოზული პრობლემები იყო, ამის გამო გუნდის შეცვლას აპირებდი. ახლა როგორი მდგომარეობაა?

— ჯერჯერობით ყველაფერი სტაბილურადაა.

— ესე იგი, გუნდის შეცვლას აღარ აპირებ?

— თუ რაიმე კონკრეტული წინადადება იქნა, არ არის გამორიცხული, გუნდი შევიცვალო. ყოველ შემთხვევაში, სეზონის ბოლომდე გუნდს ალბათ არ დავტოვებ, შემდეგ ვნახოთ...

— ვიცით, რომ გულშემატკივრებში დიდი პოპულარობით სარგებლობ. ერთ-ერთ მატჩში მთელი სტადიონი შენს სახელს გაიძახოდა...

— სათასო შეხვედრაში „ილიჩევეცთან" 0:2-ს ვაგებდით, მაყურებელი კი „ვასია", „ვასიას" სკანდირებდა და მოედანზე ჩემ გამოყვანას ითხოვდა. ამ დროს მე ყვითელი ბარათების სიჭარბის გამო დისკვალიციკაცია მქონდა და განაცხადშიც არ ვიყავი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბლატერმა კუდები მოიჭრა
## პრეზიდენტმა იტალია აღიარა



**გუშინდელ** „სარბიელში“ ფიფას პრეზიდენტის იოზეფ ბლატერისა და იტალიელების ამბავი გითხარით, დღეს უკვე დასამატებელი გვაქვს — პრეზიდენტმა მსოფლიოს ჩემპიონებს მოუბოდიშა.

გავიხსენოთ: ბლატერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში იტალია ესპანელი მსაჯის ლუის მედინა კანტალეხოს მიერ დანიშნული ტყუილი პენალტის წყალობით გავიდა და ეს უხეში შეცდომა რომ არა, იტალიელების ადგილს უსამართლოდ დამარცხებული ავსტრალიელები დაიკავებდნენ. ამ განცხადებას, ბუნებრივია, დიდი აღშფოთება მოჰყვა. პრეზიდენტს გაახსენეს, რომ ის მსოფლიოს ჩემპიონთათვის თასის გადაცემის ცერემონიალზე არც კი მივიდა, რაც მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა: აქამდე არ მომხდარა, გამარჯვებული უშუალოდ ფიფას შეფს არ დაეჯილდოებინოს. მოკლედ, ბლატერის სიტყვას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა და კუდები გამოება.

„იტალიის ნაკრებმა ყველას დაგვიმტკიცა, რომ ჩინებული ფეხბურთის თამაში შეუძლია და თავისი ტექნიკური უპირატესობა თვალსაჩინო გახადა. მე, უბრალოდ, ავსტრალიელებზე საუბრისას მათ წინაშე ქედი მოვიხარე და პატივი მივაგე, რამეთუ იტალიელების წინააღმდეგ მათ ჩინებულად ითამაშეს და ცოტა მეტი გამოცდილება რომ ჰქონოდათ, იქნებ გაემარჯვათ კიდეც. ვინ იცის, თამაშის დამატებით დროში გადატანის საშუალება მათ სწორედ გამოუცდელობამ არ მისცა“ — განაცხადა ბლატერმა.

ფიფას პრეზიდენტს მხარი ტელეკომპანია SBS-ის დირექტორმაც აუბა. მან განაცხადა, რომ ფიფას თავკაცს არასდროს უთქვამს, რომ იტალიელებს მეოთხედფინალში გასვლა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული არ ეკუთვნოდათ. მერედა, ტელემოხელე კიდევ უფრო შორსაც წავიდა და თქვა, ბლატერთან იმის შესახებ, იყო თუ არა ფაბიო გროსოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი დასანიშნი, სულ არ გვილაპარაკიაო.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-კომისიონერი ლუიჯი რივა ფიფას პრეზიდენტის სიტყვებმა გააცეცხლა, იტალიის ნაკრების მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ კი კომენტარისგან თავი შეიკავა.

**ბაპუნა ძედია**

# ბერლუსკონი ციხეზე?
## რა დროს კასანოს ტრანსფერია



**იტალიურ** „მილანს“ თავდასხმაში პრობლემები რომ აქვს, წლეულს უკვე ბევრჯერ გამოჩნდა. „როსონერის“ სახელს ხან ვინ უკავშირებენ, ხან ვის. ახლა კი ამბობენ, შესაძლოა, „მილანმა“ იანვარში ანტონიო კასანო ინათხოვროს ან სულაც იყიდოსო. მოგეხსენებათ, „ხულიგანს“ მადრიდის „რეალში“ საქმეები ცუდად აქვს და ახლახან გაურკვეველი დროით გუნდიდან მოკვეთეს კიდეც.

ისიც ითქვა, „რეალი“ კასანოსთან ერთად ტრანსფერზე რონალდოსაც დააყენებსო. ორივეს იტალიაში სურს დაბრუნება და მათ სახელებს „მილანსა“ და მის მოსისხლე მტერ „ინტერს“ უკავშირებენ.

ამასობაში, ახალ შარში გაეხვია „მილანის“ პრეზიდენტი სილვიო ბერლუსკონი. მას ერთ-ერთი ბიზნესმაქინაციის სასამართლოში განხილვის დროს ადვოკატ დევიდ მილსისთვის ქრთამის სახით 600 ათასი დოლარის მიცემა ბრალდება, რათა მას ყალბი ჩვენება მიეცა. თავის მხრივ, ინგლისელ ადვოკატს ფულის აღებაში ადანაშაულებენ და თუ ეს ყველაფერი დამტკიცდა, მათ სამიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

**გიორგი ჭაჭაბაძე**

# ბებერი იურის ფსიქო
## ჯორკაეფს პენსიამ უწია



**საფრანგეთის** ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა იური ჯორკაეფმა კარიერა დაასრულა. 38 წლის ფეხბურთელი, რომელმაც თამაში „გრენობლში“ დაიწყო, ბოლოს ამერიკულ „რედ ბულსში“ ირიცხებოდა, თუმცა ნიუიორკელები შეიჯორლიგის აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალში „ვაშინგტონთან“ დამარცხდნენ და ჯორკაეფმაც ამის მერე ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება გადაწყვიტა.

„მივხვდი, რომ წასვლის დრო მოვიდა. ფიზიკურად ისევ მშვენიერ ფორმაში ვარ, მაგრამ ფსიქოლოგიურად სხვაგვარადაა საქმე. მოტივაცია აღარ მაქვს. კარიერაში თითქმის ყველაფერს მივაღწიე, რაც მინდოდა. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ჩემთვის ყველაზე დიდი გამარჯვება იყო“ — აღნიშნა ჯორკაეფმა.

შეგახსენებთ, რომ მას ასევე „სტრასბურში“, „მონაკოში“, პსჟ-ში, „ინტერში“, „კაიზერსლაუტერნში“, „ბოლტონსა“ და „ბლეკბერნში“ უთამაშია.

**ჭოჭი ჭანდელაკი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუფონზე ოქროს ბურთი ალალია, მაგრამ მეკარეა...

**ჯანლუიჯი ბუფონის** თქმით, სეზონის ბოლოს მან შეიძლება „იუვენტუსი“ დატოვოს. მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებულმა და ამჟამად საუკეთესო მეკარედ მიჩნეულმა იტალიელმა აღნიშნა, გადაწყვეტილებას ბოლო მომენტში მივიღებო. შეგახსენებთ, რომ ჯიჯი ერთ-ერთი ვარსკვლავია იმათგან, ვინც „ბებერ ქალბატონს“ ბოლომდე უერთგულა და სერია B-ში ჩაჰყვა.

ამბობენ, ლონდონური „ჩელსი“ ბუფონის სანაცვლოდ 25 მილიონ გირვანქას იხდის და შესაძლოა, იგი იანვარში „სტემფორდ ბრიჯზე“ აღმოჩნდესო, მაგრამ „სკუადრა აძურას“ კარის დარაჯმა თქვა, სეზონის ბოლომდე ნამდვილად „იუვენტუსში“ დავრჩებიო. მას ტურინელებთან მოქმედი კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს.

„დავრჩები თუ წავალ, ივნისში გაირკვევა. გადაწყვეტილებებს ყოველთვის ბოლო მომენტში ვიღებდი და შესაბამისად, არსად მეჩქარება“ — განაცხადა ბუფონმა.

„მის გადაწყვეტილებას კლუბთან ერთად სერია B-ში დარჩენის შესახებ, ძალიან ვაფასებთ, თუმცა ბუფონის კონტრაქტის გახანგრძლივებაზე და ასეთ საკითხებზე საუბარი ახლა არ მინდა, რადგან ამის დრო არ არის. ზაფხულში ყველაფერი გაირკვევა. მას ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობასთან ჩინებული ურთიერთობა აქვს და არა მგონია, რაიმე პრობლემა შეიქმნას“ — აღნიშნა „იუვენტუსის“ მწვრთნელმა დიდიე დეშანმა.

გეხსომებათ, ბუფონი „ოქროს ბურთის“ მოპოვების ერთ-ერთი რეალური კანდიდატია. დეშანმა ამაზეც ისაუბრა, იგი თვლის, რომ „ფრანს ფუტბოლის“ პრესტიჟულ ჯილდოს ჯიჯი ვერ მიიღებს.

„ბუფონი იმსახურებს ამ ჯილდოს, მაგრამ არა მგონია, მისცენ. სამწუხაროდ, ჩემი აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება საკმარისი არ იქნე , რადგან ჩემპიონთა ლიგაში ნაჩვენები შედეგი ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია. დიდი შანსია, საუკეთესოდ რომელიმე ბარსელონელი დასახელდეს. ფავორიტებად სამუელ ეტოო და რონალდინიო მიმაჩნია. მეკარისთვის ამ ჯილდოს მოპოვება კი ძნელია, მაგრამ მაინც იმედს ვიტოვებ, რომ ჯიჯის შემთხვევაში გამონაკლისი იქნება“ — დასძინა ბოლოს დეშანმა.

**გიორგი ჭაჭაბაძე**

# ბექჰი ყველას წინააღმდეგ



**დევიდ ბექემმა** განაცხადა, რომ წლეულს „რეალიდან“ წასვლას არ აპირებს და იანვარშიც არავინ გაყიდის. ის მოლაპარაკებებს თავის კლუბთან ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვისას დაიწყებს.

„არსად წასვლას არ ვაპირებ — თქვა ბექჰმა — სხვა გუნდებსაც არ ველაპარაკები. ძირითადში მოსახვედრად ვიბრძოლებ. თუ მოვხვდი, რატომ უნდა წავიდე? „მანჩესტერშიც“ მქონდა ასეთი პერიოდი, მაგრამ ბევრი ვიშრომე და ადგილი დავიბრუნე. შეხედეთ რაიან გიგზს, მას ხომ უზომოდ აკრიტიკებდნენ. ახლა კიდევ ერთ-ერთი საუკეთესოა გუნდში. ჩვეულებრივ, ხალხი ამბობს, რომ მე უმაღლეს დონეზე თამაშის გამქაჩავი აღარ ვარ. მე კი საპირისპიროს დამტკიცებას შევეცდები“.

**ირაკლი გამყრელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოი, სულმდაბალო
## რაიკარდმა მაურინიუ გაათათხა

**ნუხელ „ბარსელონამ“ და „ჩელსიმ“ ერთხელაც გაარკვიეს ურთიერთობა მოედანზე, ოღონდ ამ ამბავს დღევანდელი „სარბიელი“ სხვა წერილით ეხმაურება და ხვალ ტრადიციისამებრ კიდევ უფრო ვრცლად მიუბრუნდება. აქ, სხვას მოგახსენებთ, იმ დაუსრულებელი სიტყვიური კეჭნაობის ამბავს, ამ ორ კლუბს შორის ბოლო წლებში, კერძოდ კი, ლონდონელთა მწვრთნელად პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუს დანიშვნის შემდეგ ნორმად რომ ჩამოყალიბდა. უფრო სწორად, თქვენს ყურადღებას ერთმანეთზე მწარე სიტყვების თქმის მორიგ ეტაპზე შევაჩერებთ და რა თქმა უნდა, სიმწარეთა წყაროდ კვლავ სერ მაურინიუ გვევლინება**

ამჯერად „ჩელსის“ თავკაცმა სხვა მხრიდან მოუარა, თავის ყოფილ ფეხბურთელზე თქვა მყვინთავიაო, ეს სიტყვა კი ინგლისურ საფეხბურთო ჟარგონზე, მოგეხსენებათ, იმ აფერისტ ფეხბურთელს ნიშნავს, რომელიც მოწინააღმდეგის მოახლოებისას თეატრალურად ვარდება და მსაჯს ჯარიმას სტყუებს. ერთი სიტყვით, მაურინიუმ ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენი ახსენა, თან იცით როგორ? გუდიონსენი საუკეთესო მყვინთავად ყალიბდებაო, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოფილი ჩელსელი „ყვინთვის ხელოვნებას“ მაურინიუსთან დაშორების შემდეგ დაეუფლა, სხვა სიტყვებით კი მას მერე, რაც... გასულ ზაფხულს „ბარსელონაში“ გადავიდა.

„კარგად ვიცი, როგორ მოიპოვა „კამპ ნოუზე“ „ბარსელონამ“ ბევრი პენალტი. ვიცი ის შემთხვევებიც, როდესაც მათ მსაჯს მოწინააღმდეგე ათი კაცით დაატოვებინეს მოედანზე, რაც ცოტა გასაკვირია, რადგან ეიდური მთელი ცხოვრების განმავლობაში ინგლისურ პრემიერლიგაში თამაშობდა. ის სამმა თვემ შეცვალა ასე. მეორე მხრივ, ეს ფაქტი ინგლისური ფეხბურთის ღირსებებს უსვამს ხაზს. ინგლისში ფეხბურთელები არ იტყუებიან, რადგან ეს მიღებული არ არის. ყოჩაღ ინგლისურ პრესას, ასეთი ნორმა მისი დამკვიდრებულია. ინგლისში თაღლითებს ჟურნალისტები უსწორდებიან“ — ბრძანა მაურინიუმ, რომელმაც გუდიონსენის ყვინთვის ყველაზე ცოცხალ მაგალითად, რასაკვირველია, პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში, „უელვასთან“ მოპოვებული თერთმეტმეტრიანი იგულისხმა.

„ჩელსის“ პორტუგალიელი შეფის სიტყვებმა, ბუნებრივია, „ბარსელონას“ ჰოლანდიელი თავკაცი ფრანკ რაიკარდი გაალიზიანა.

„არ მაინტერესებს, რას ამბობს ეს კაცი — თქვა რაიკარდმა — ის სულმდაბალი ადამიანია და გონება ამგვარი სიბინძურეების მოფიქრებისკენ აქვს მომართული. შედეგებზე, საერთოდ, დამარცხებულები ჩივიან და ჩვენ პატიოსნად ვმუშაობთ, ასე რომ არ მოგვივიდეს. „ბარსას“ გამარჯვებისთვის თაღლითობა არ სჭირდება“.

**ბაჩუნა ძიძია**



ეიდურ გუდიონსენს „ბარსელონაში“ თაღლითობა უსწავლიაო



# შვედი ჯორდებს უმიზნებს

**სვენ გორან ერიკსონს** „ნიუკასლის“ მენეჯერობა ამოუჩრია გულს და თურმე „ჯორდების“ უფროსობამაც მიაყურადა მის სურვილს.

ამბობენ, რომ კლუბის თავმჯდომარე ფრედი შეპარდი მენეჯერ გლენ რიოდერის მმართველობით უკმაყოფილოა და სრულიად შესაძლებელია, რომ ერიკსონი მიიწვიოს.

თავად შვედს თურმე თავისი 5 მილიონგირვანქიანი სანაკრებო ხელფასის გადასახადები აწუხებს და ხელფასის განახევრებაც კი აწყობს, რაც მშვენივრად გამოუვა საკლუბო მენეჯერობისას.

თანაც ერიკსონი, შერცხვენილადაა წასული ნაკრებიდან და სურს, რომ დაამტკიცოს, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი ვარო.

საოცნებო სამსახური მადრიდის „რეალში“ ფაბიო კაპელომ აიღო, სვენს კი ყოველთვის მოსწონდა „ჯორდები“ მათი მრავალი თვისების გამო.

თუმცა, ნიუკასლელ ფანობას მენეჯერად ერთადერთი კაცი უნდა — ალან შირერი.

ერიკსონის აგენტ ათოლ სტილს კავშირი ჰქონია აგენტ პიტერ ჰარისონთან, რომელიც „ნიუკასლში“ შინაკაცია, იმის მიუხედავად, რომ ბიბი-სის მამხილებელ ფილმში ლამის მთავარი პერსონაჟი იყო.

**ირაკლი გამყრელიძე**

# დელ პიეროს შავ-თეთრი ცხოვრება და გოლები



**ალესანდრო დელ პიერომ ბოლოს და ბოლოს გაიტანა თავისი მეორასე გოლი „იუვენტუსის“ მაისურით და კიდევ ერთხელ ჩაეწერა კლუბის ისტორიაში. მოგეხსენებათ, იგი „ბებერი ქალბატონის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია და ამ სიმბოლურ გოლსაც რამდენიმე კვირა ელოდა. გასულ შაბათს იგი „ფროზინონესთან“ მატჩში სათადარიგოთა სკამზე იჯდა, მაგრამ მე-60 წუთზე შეცვლაზე შევიდა და საბოლოოდ გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს**

„ახლა სიხარულისგან მთვარეზე ვარ, ჩემი გოლის გამოც და მოგების გამოც. „იუვე“ ჩემთვის ბევრს ნიშნავს და მის რიგებში გატანილი 200 გოლი დიდი პატივია. წინ კიდევ ბევრი გოლი და ბევრი გამარჯვება მელის. ეს ჩემი გრძელი და შავ-თეთრი ცხოვრების ახალი ეტაპია. დიდი მადლობა ფანებს და კლუბს, ჩვენ ხანგრძლივი გზა, უამრავი სასიამოვნო მოგონება და წარმატება გვაკავშირებს. ეს გოლი ძალიან კარგად დამამახსოვრდება და ჩემს რჩეულთა რიგებს მიემატება. მაგალითად, საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში შეგდებულ გადამწყვეტ ბურთს ან „ფიორენტინას“ კარში გატანილ გოლს, რომელმაც საბოლოოდ ჩემი პირველი სკუდეტო მომიტანა“ — თქვა 31 წლის ვეტერანმა.

„შავ-თეთრების“ კაპიტანმა სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ კარიერის დასრულებას ჯერ ნამდვილად არ აპირებს. ასევე მოკლედ მიმოიხილა „ფროზინონესთან“ მატჩი, სადაც „იუვენტუსს“ გამარჯვება საკმაოდ გაუჭირდა და საერთოდ, ტურინელებმა ბოლო სამი შეხვედრა მინიმალური სხვაობითა და გარკვეული სირთულეების დაძლევით მოიგეს.

„კარიერის დასრულებაზე ნამდვილად არ ვფიქრობ. ამდენი ხნის მანძილზე ერთ კლუბში თამაშის შემდეგ ვინმემ ეგებ თქვას, რომ წასვლის დროა, მაგრამ კარგ ფიზიკურ კონდიციაში ვარ, თან თამაშის და სიამოვნების მიღების სურვილიც მაქვს. ახლა ჩემი მთავარი მიზანი სერია A-ში, რაც შეიძლება მალე დაბრუნებაა. ვფიქრობ, „ფროზინონესთან“ ცუდად არ გვითამაშია და საჭირო გამარჯვებაც მოვიპოვეთ. ყველა შეხვედრაში 3:0-ს ვერ მოვიგებთ. ჩემთვისაც და დანარჩენებისთვისაც სერია B-ში ადაპტაცია ადვილი არ არის“ — დასძინა დელ პიერომ.

„ბებერი ქალბატონის“ მწვრთნელი დიდიე დეშანი: „ძალიან მიხარია ალექსის გოლი, იგი ამას საკმაო ხანს ელოდა, თან გამარჯვება მოგვიტანა. დელ პიერო ამ ყველაფერს იმსახურებს. „ფროზინონესთან“ შეხვედრის პირველ ტაიმში შეცდომებს ვუშვებდით. მერე თამაში გამოვასწორეთ და მოვიგეთ კიდეც. რაც შეეხება აპელაციის შედეგად 8 ქულის მომატებას, სიმართლე გითხრათ, ამდენი ქულა ერთ დღეში არასდროს მომიპოვებია. ხუმრობის გარეშე კი, ველოდი, რომ მინუსებს ან მოგვაშორებდნენ ან შეგვიმცირებდნენ, რადგან „იუვენტუსი“ ისედაც საკმარისად დაისაჯა. ცხადია, ეს სერია A-ში დაბრუნებას გაგვიადვილებს“.

ბოლოს კი აღვნიშნოთ, რომ გაიხსნა „იუვენტუსის“ ოფიციალური ტელეარხი, რომლის ნახვის საშუალებაც ჯერჯერობით მხოლოდ „სკაის“ პაკეტის მფლობელ აბონენტებს შეეძლებათ.

**გიორგი ძაძაბაძე**

## დელ პიეროს 200 იუვენტუსური გოლი

| | |
|---|---|
| სერია A | 135 |
| სერია B | 2 |
| იტალიის თასი | 16 |
| იტალიის სუპერთასი | 3 |
| ჩემპიონთა ლიგა | 38 |
| უეფას თასი | 2 |
| ინტერტოტოს თასი | 1 |
| ევროპის სუპერთასი | 2 |
| საკონტინენტთაშორისო თასი | 1 |

### საინტერესო ფაქტები

ყველაზე მეტი გოლი გაიტანა სექტემბერში — 27.
ყველაზე შედეგიანი სეზონი 1997-98: 32 გოლი
ყველაზე მეტი გოლი გაუტანა „პარმას“ — 12.
ყველაზე შედეგიანი წელი 2002 — 24 გოლი
კარიერის მანძილზე შესრულებული აქვს 5 ჰეთ თრიქი და 28 დუბლი

# პოლიტიფოზები

## დაიმახსოვრეთ: ეს არ არის ტურინის იუვენტუსი!

### იუვენტუსი

დისლოკაციის ადგილი: ტურინი

მტრები: „ტორინო“, „ფიორენტინა“, „მილანი“, „ინტერი“, „რომა“, „ნაპოლი“, „პარმა“, „ლაციო“.

მეგობრები: „პიაჩენცა“.

ევროპაში: სასტიკად მტრობენ „ლივერპულის“ დაჯგუფებებს.

მცირე რამ კლუბისა და მისი ფანების შესახებ: „იუვენტუსის“ საშინაო არენა „დელე ალპმა“ დიდი ხანია, დაივიწყა, რას ნიშნავს ანშლაგი. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების შუაგულში გუნდის ხელმძღვანელობას საშინაო მატჩების ჩატარება ნებისმიერ იტალიურ ქალაქში სურდა, ოღონდ არა ტურინში... ტურინელთათვის „იუვე“ მხოლოდ მეორე გუნდია, ეს ქალაქი ძირითადად „ტორინოს“ ქომაგობს.

„იუვენტუსი“ უნიკალური კლუბია. „ბებერ ქალბატონს“ უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს, თუმცა უფრო მეტი მტერი... მაგრამ ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ „იუვე“ ყველაზე ტიტულიანი კლუბია იტალიაში. გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში გუნდი შეიძინა ძლევამოსილმა კონცერნმა „ფიატმა“, რომელიც უმალვე კულისებსმიღმა გარიგებებში ჩაერთო და ახლაც რეგულარულად მონაწილეობს, რაც გულშემატკივართა აღშფოთებას იწვევს. „ფიატის“ შეფარებული „იუვენტუსი“ და მისი დაჯგუფებები სხვა გუნდების ბრიგადებს სასტიკად არ ეხატებათ გულზე.

„ძვირფასო ტურინელებო! დღეს გაიმართება მატჩი ჩვენი ქალაქის გუნდ „ტორინოსა“ და იტალიის „იუვენტუსს“ შორის. გთხოვთ, ჩვენს გუნდს მხარი დაუჭიროთ!“ — მსგავსი სახის განცხადებების სიმრავლე მშვენივრად ასახავს, როგორ უყურებენ ტურინში „იუვეს“. „ბებერი ქალბატონი“, ბარსელონულ „ესპანიოლისა“ და რომაული „ლაციოს“ მსგავსად, თანაქალაქელთა პატივისცემით არ სარგებლობს. „დელე ალპი“ შინაურ თამაშებზე თითქმის სულ ცარიელია და გუნდის დაჯგუფებებს რომელ ტრიბუნაზეც მოეპრიანებათ, იქ სხდებიან-ხოლმე. „შავ-თეთრების“ ტიფოზები არამარტო ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნებს იკავებენ, არამედ ცენტრალურ ადგილებსაც არხეინად ეპატრონებიან. ამის გამო სხვა გუნდების ფანები იუვენტუსელებს აგდებით უყურებენ, ულტრასთა დაუწერელ კანონში კი ნათქვამია, რომ ნამდვილ მებრძოლს ცენტრალურ ტრიბუნაზე, ბავშვების, დედაკაცების და საძულველი ხალხის გვერდით არაფერი ესაქმება... „ბებერი ქალბატონის“ დაჯგუფებებს ძირითადად მაინც CURVA SCIREA-ზე უყვართ თავმოყრა. „იუვენტუსის“ ლეგენდარული ფეხბურთელის, გაეტანო შირეას საპატივცემულოდ სტადიონის ერთ-ერთ ტრიბუნას მისი სახელიც კი უწოდეს.

შავ-თეთრთა პირველი დაჯგუფებები სამოცდაათიან წლებში გამოჩნდნენ. ბრიგადებში ბევრი ხალხი არ ირიცხებოდა და ორგანიზებულობის მხრივაც მოიკოჭლებდნენ. თავიდან, რა თქმა უნდა, შინაომები იყო, შემდეგ კი, 1977 წელს, იუვენტუსელები ერთ დაჯგუფებად გაერთიანდნენ. ბრიგადას უსაშველოდ გრძელი და ხმაურიანზე ხმაურიანი სახელი ჰქონდა — „ბლეკ ენდ ვაით ფაიტერს გრუპო სტორიკო“. ცოტა ხანში ხალხმა ამ არმიას უბრალოდ, „ფაიტერსი“ ანუ „მებრძოლები“ შეარქვა. „ბებერი ქალბატონის“ მომხრეები ტორინოელ მტრებს და პოლიციას ერთად უფრო დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ.

1987 წელს ფლორენციაში ტიფოზთა გრანდიოზული ჩხუბი გაიმართა. ეს „ფიორენტინა“ — „იუვენტუსის“ მატჩის შემდეგ მოხდა. შეხვედრა მეტად პრინციპული იყო, „ფიორენტინას“ ბრიგადები ხომ „იუვეს“ მოსისხლეს, „ტორინოს“ ემმაკაცებოდნენ. ის-ის იყო, „შავ-თეთრების“ ავტობუსებმა ფლორენცია დატოვეს, რომ ქალაქში ხმა დაირხა — „იუვენტუსის“ ფანებს პატარა გოგონა გაეუპატიურებინათ! ბრაზისგან გაშმაგებული ფლორენციელები (კერძოდ კი დაჯგუფება „კოლეტივო აუტონომო“) გადამთიელთა ავტობუსებს წამოეწივნენ და გზაზე ნამდვილი სასაკლაო გაჩაღდა. „ფაიტერებმა“ და „კოლეტივომ“ ერთმანეთს დასცხეს და ორივე მხარემ ომში დანები, ჯაჭვები და კასტეტები უხვად გამოიყენა. ფლორენციელებიდან ერთი კაცი დაიღუპა, ტურინელებიდან კი ბრძოლამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ცხადია, ამ ამბავს სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. პრესამ და მთავრობამ პოლიციისგან უსაფრთხოების ზომების გამკაცრება მოითხოვეს. FIGHTERS-ი ოფიციალურად აიკრძალა. „მებრძოლთა“ საქმის გამგრძელებლები ARANCIA MECCANICA-ს ტიფოზები აღმოჩნდნენ. დაჯგუფებას „მექანიკური ფორთოხალი“ ენტონი ბერჯერის ამავე სახელწოდების საკულტო ფილმის მიხედვით შეარქვეს, თუმცა დიდხანს არც ამათ უბოგინიათ. 1990 წლის იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ქვეყანაში საფეხბურთო ხულიგნობის უმცირეს ფაქტებსაც უმკაცრესად ებრძოდნენ და პოლიციის მარწუხებით დაჭყლეტილმა „ფორთოხალმაც“ არსებობა შეწყვიტა.

1997 წელს „იუვეს“ ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვების შემდეგ, კლუბის ფანებმა გადაწყვიტეს, კვლავ გაერთიანებულიყვნენ. იმავე წელს შავ-თეთრი ისტორიული ბრიგადა BLACK AND WHITE FIGHTERS GRUPPO STORICO აღდგა. ეს „ბიანკონერის“ ყველაზე დიდი დაჯგუფება, რომელშიც 1200-ზე მეტი ტიფოზია გაწევრიანებული.

**ლადო ხომერიკი**




## ინგლისი

### პრემიერლიგა. X ტური

**მანჩესტერ სიტი 1:0 მიდლსბრო**

1:0 დანი (23)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 10 | 8 | 1 | 1 | 23:5 | 25 |
| ჩელსი | 10 | 8 | 1 | 1 | 17:5 | 25 |
| ბოლტონი | 10 | 6 | 2 | 2 | 10:8 | 20 |
| პორტსმუთი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:6 | 19 |
| არსენალი | 9 | 5 | 3 | 1 | 16:5 | 18 |
| ევერტონი | 10 | 4 | 5 | 1 | 16:9 | 17 |
| ასტონ ვილა | 10 | 3 | 6 | 1 | 12:9 | 15 |
| ლივერპული | 10 | 4 | 2 | 4 | 12:12 | 14 |
| ფულემი | 10 | 3 | 4 | 3 | 11:15 | 13 |
| რედინგი | 10 | 4 | 1 | 5 | 10:15 | 13 |
| ბლექბერნი | 10 | 3 | 3 | 4 | 10:13 | 12 |
| ტოტენჰემი | 10 | 3 | 3 | 4 | 6:10 | 12 |
| სიტი | 10 | 3 | 3 | 4 | 7:13 | 12 |
| უიგანი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:11 | 11 |
| მიდლსბრო | 10 | 3 | 2 | 5 | 9:14 | 11 |
| ვესტ ჰემი | 10 | 2 | 2 | 6 | 8:14 | 8 |
| ნიუკასლი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:13 | 8 |
| უოტფორდი | 10 | 0 | 6 | 4 | 7:13 | 6 |
| შეფილდი | 10 | 1 | 3 | 6 | 4:14 | 6 |
| ჩარლტონი | 10 | 1 | 2 | 7 | 6:15 | 5 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. VIII ტური

**ფერეირა 2:0 ბოავიშტა**

1:0 ედსონი (19), 2:0 დიდი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 8 | 6 | 1 | 1 | 18:6 | 19 |
| სპორტინგი | 8 | 5 | 2 | 1 | 13:7 | 17 |
| ნავალი | 8 | 4 | 3 | 1 | 9:6 | 15 |
| ბრაგა | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 14 |
| ბენფიკა | 7 | 4 | 1 | 2 | 15:9 | 13 |
| ნასიონალი | 8 | 4 | 1 | 3 | 11:6 | 13 |
| მარიტიმუ | 8 | 4 | 1 | 3 | 10:9 | 13 |
| ლეირია | 8 | 4 | 1 | 3 | 9:11 | 13 |
| ფერეირა | 8 | 3 | 3 | 2 | 9:8 | 12 |
| ბელენენსეში | 7 | 3 | 2 | 2 | 7:5 | 11 |
| სეტუბალი | 8 | 2 | 2 | 4 | 6:9 | 8 |
| აკადემიკა | 8 | 1 | 4 | 3 | 9:12 | 7 |
| ბოავიშტა | 8 | 2 | 1 | 5 | 9:13 | 7 |
| ბეირა მარი | 8 | 1 | 3 | 4 | 11:17 | 6 |
| ამადორა | 8 | 1 | 1 | 6 | 3:13 | 4 |
| აველი | 8 | 0 | 2 | 6 | 4:14 | 2 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XII ტური

**აბერდინი 2:1 ჰიბერნიანი**

0:1 კილენი (47), 1:1 მილერი (56), 2:1 სევერინი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 12 | 10 | 1 | 1 | 23:8 | 31 |
| ჰართსი | 12 | 6 | 3 | 3 | 19:12 | 21 |
| რეინჯერსი | 12 | 5 | 4 | 3 | 19:14 | 19 |
| აბერდინი | 12 | 5 | 3 | 4 | 14:11 | 18 |
| ინვერნესი | 12 | 4 | 6 | 2 | 15:13 | 18 |
| კილმარნოკი | 12 | 5 | 3 | 4 | 15:19 | 18 |
| ჰიბერნიანი | 12 | 4 | 3 | 5 | 18:13 | 15 |
| სენტ მირენი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:15 | 15 |
| ფოლკირკი | 12 | 4 | 2 | 6 | 13:16 | 14 |
| მოზერუელი | 12 | 3 | 2 | 7 | 14:19 | 11 |
| დანფერმლაინი | 12 | 2 | 3 | 7 | 9:17 | 9 |
| დანდი იუნ. | 12 | 1 | 5 | 6 | 10:25 | 8 |

## შვედეთი

### ალსვენსკა. XXV ტური

**იურგორდენი 2:0 იოსტერსი**

**გაის 0:0 აიკ**

**მალმიო 2:1 გიოტებორგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელფსბორგი | 25 | 12 | 11 | 2 | 40:19 | 47 |
| აიკ | 25 | 12 | 10 | 3 | 43:23 | 46 |
| ჰელსინგბორგი | 25 | 11 | 9 | 5 | 44:31 | 42 |
| ჰამარბი | 24 | 11 | 7 | 6 | 37:30 | 40 |
| იურგორდენი | 25 | 11 | 7 | 7 | 32:25 | 40 |
| კალმარი | 25 | 11 | 5 | 9 | 36:28 | 38 |
| მალმიო | 25 | 10 | 8 | 7 | 43:36 | 38 |
| გიოტებორგი | 25 | 9 | 8 | 8 | 39:36 | 35 |
| გეფლე | 24 | 8 | 6 | 10 | 26:36 | 30 |
| გაის | 25 | 5 | 11 | 9 | 23:31 | 26 |
| ჰალმსტადი | 25 | 5 | 11 | 9 | 23:31 | 26 |
| ჰეკენი | 25 | 3 | 10 | 12 | 26:41 | 19 |
| იოსტერსი | 25 | 4 | 7 | 14 | 18:44 | 19 |
| იორგრიტე | 25 | 3 | 8 | 14 | 22:41 | 17 |

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. XII ტური

**ტეპლიცე 1:3 ბუდეიოვიცე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიბერეცი | 12 | 8 | 3 | 1 | 20:4 | 27 |
| სპარტა | 12 | 7 | 4 | 1 | 15:5 | 25 |
| ბოლესლავი | 12 | 8 | 1 | 3 | 20:11 | 25 |
| სლავია | 12 | 6 | 3 | 3 | 18:10 | 21 |
| ბუდეიოვიცე | 12 | 6 | 2 | 4 | 14:15 | 20 |
| ტეპლიცე | 12 | 5 | 3 | 4 | 21:16 | 18 |
| იაბლონეცი | 12 | 4 | 6 | 2 | 12:10 | 18 |
| ბრნო | 12 | 4 | 6 | 2 | 8:6 | 18 |
| ბანიკი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:17 | 15 |
| მოსტი | 12 | 3 | 5 | 4 | 15:17 | 14 |
| პლზენი | 12 | 3 | 5 | 4 | 12:16 | 14 |
| სიგმა | 12 | 3 | 2 | 7 | 11:18 | 11 |
| კლადნო | 12 | 3 | 2 | 7 | 9:20 | 11 |
| პრჟიბრამი | 12 | 2 | 4 | 6 | 9:15 | 10 |
| ზლინი | 12 | 2 | 3 | 7 | 6:15 | 9 |
| სლოვაცკო | 12 | 1 | 2 | 9 | 7:17 | 5 |

## იტალია

### სერია B. IX ტური

**ვერონა 1:4 ჯენოა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 9 | 6 | 1 | 2 | 18:11 | 19 |
| რიმინი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:8 | 17 |
| ბოლონია | 9 | 5 | 1 | 3 | 11:9 | 16 |
| პიაჩენცა | 9 | 5 | 1 | 3 | 8:9 | 16 |
| ჩეზენა | 8 | 4 | 3 | 1 | 15:10 | 15 |
| ნაპოლი | 9 | 4 | 3 | 2 | 10:7 | 15 |
| ბარი | 9 | 4 | 2 | 3 | 10:7 | 14 |
| ბრეშა | 8 | 4 | 2 | 2 | 8:7 | 14 |
| ალბინოლეფე | 9 | 3 | 5 | 1 | 7:6 | 14 |
| იუვენტუსი | 8 | 7 | 1 | 0 | 15:2 | 13 |
| მანტოვა | 9 | 3 | 4 | 2 | 10:8 | 13 |
| ლეჩე | 8 | 3 | 2 | 3 | 12:11 | 11 |
| მოდენა | 9 | 3 | 2 | 4 | 7:9 | 11 |
| ტრიესტინა | 8 | 2 | 4 | 2 | 6:6 | 9 |
| სპეცია | 9 | 1 | 6 | 2 | 9:10 | 9 |
| ტრევიზო | 9 | 2 | 3 | 4 | 8:11 | 9 |
| ფროზინონე | 8 | 2 | 2 | 4 | 7:8 | 8 |
ამერიკის შეერთებული შტატების ორ ქალაქში, მაიმისა და ლოს ანჯელესში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 61-ე სეზონი დაიწყო. მოახერხებს თუ არა შაკილ ონილისა და დუეინ ვეიდის „მაიამი" ჩემპიონის გვირგვინის ჯერ აღმოსავლელთა, შემდეგ კი დასავლელთა ხელყოფისგან დაცვას, ეს 6-8 თვის შემდეგ პლეი ოფში გამოჩნდება, მანამდე კი 2 კონფერენციის 6 დივიზიონის 30 გუნდი რეგულარული ჩემპიონატის ორომტრიალში გადაეშვა. 82-მატჩიანი რეგულარული გასავლელი აქვს ჯორჯიულ გუნდ „ატლანტა ჰოქსის" ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბებულ „ჯორჯიელ" ზაზა ფაჩულიასაც, ვისთვისაც ეს მეოთხე სეზონია ნბა-ში და ღმერთმა ქნას, წინა სამზე უკეთესი ყოფილიყოს

## აღმოსავლეთის კონფერენცია

### ატლანტის დივიზიონი

**ნიუ ჯერსი ნეთსი**
ლიდერები: ჯეისონ კიდი, ვინს კარტერი, რიჩარდ ჯეფერსონი, ნენად კრსტიჩი
მწვრთნელი: ლოურენს ფრენკი
შედეგი წინა სეზონში: 49 მოგება, 33 წაგება

**ფილადელფია სიქსერზი**
ლიდერები: ალენ აივერსონი, კრის ვებერი, ანდრე იგუდალა, სამუელ დალემბერი
მწვრთნელი: მორის ჩიკსი
შედეგი წინა სეზონში: 38 მოგება, 44 წაგება

**ბოსტონ სელტიქსი**
ლიდერები: პოლ პირსი, ვალი შჩერბიაკი, სებასტიან ტელფაირი, თეო რეთლიფი
მწვრთნელი: დოკ რივერსი
შედეგი წინა სეზონში: 33 მოგება, 49 წაგება

**ტორონტო რეპტორზი**
ლიდერები: კრის ბოში, მორის პიტერსონი, ხორხე გარბახოსა, ხოსე კალდერონი
მწვრთნელი: სემ მიტჩელი
შედეგი წინა სეზონში: 27 მოგება, 55 წაგება

**ნიუ იორკ ნიქსი**
ლიდერები: სტივენ მარბერი, ჯამალ კროუფორდი, სტივ ფრენსისი, ედი კარი
მწვრთნელი: აიზია ტომასი
შედეგი წინა სეზონში: 23 მოგება, 59 წაგება

### ცენტრალური დივიზიონი

**დეტროიტ პისტონზი**
ლიდერები: ჩონსი ბილაფსი, რიჩარდ ჰამილტონი, რაშიდ ვოლესი, ტაიშონ პრინსი
მწვრთნელი: ფლიპ სანდერსი
შედეგი წინა სეზონში: 64 მოგება, 18 წაგება

**კლივლენდ კავალიერზი**
ლიდერები: ლებრონ ჯეიმსი, ლარი ჰიუზი, ჟიდრუნას ილგაუსკასი, დრიუ გუდენი
მწვრთნელი: მაიკ ბრაუნი
შედეგი წინა სეზონში: 50 მოგება, 32 წაგება

**ინდიანა პეისერზი**
ლიდერები: ჯერმენ ონილი, სტივენ ჯეკსონი, ალ ჰარინგტონი, ჯამაალ ტინსლი
მწვრთნელი: რიკ კარლაილი
შედეგი წინა სეზონში: 41 მოგება, 41 წაგება

**ჩიკაგო ბულზი**
ლიდერები: ბენ ვოლესი, ბენ გორდონი, კირკ ჰაინრიხი, ანდრეას ნოჩიონი, ლუოლ დენგი
მწვრთნელი: სკოტ სკაილზი
შედეგი წინა სეზონში: 41 მოგება, 41 წაგება

**მილუოკი ბაქსი**
ლიდერები: მაიკლ რედი, ენდრიუ ბოგუტი, მო უილიამსი, ბობი სიმონსი
მწვრთნელი: ტერი სტოტსი
შედეგი წინა სეზონში: 40 მოგება, 42 წაგება

### სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონი

**მაიამი ჰითი**
ლიდერები: დუეინ ვეიდი, შაკილ ონილი, ანტუან უოკერი, ჯეისონ უილიამსი
მწვრთნელი: პატ რაილი
შედეგი წინა სეზონში: 52 მოგება, 30 წაგება

**ვაშინგტონ ვიზარდსი**
ლიდერები: ჯილბერტ არენასი, ანთაუნ ჯემისონი, კერონ ბატლერი, ბრენდან ჰეივუდი
მწვრთნელი: ედი ჯორდანი
შედეგი წინა სეზონში: 42 მოგება, 40 წაგება

**ორლანდო მეჯიქი**
ლიდერები: დუაიტ ჰოვარდი, ჰიდაიეთ თურქოღლუ, ჯამირ ნელსონი, გრანტ ჰილი
მწვრთნელი: ბრაიან ჰილი
შედეგი წინა სეზონში: 36 მოგება, 46 წაგება

**შარლოტ ბობქეთსი**
ლიდერები: პრიმოჟ ბრეზეცი, ემეკა ოკაფორი, ჯერალდ ვოლესი, ბრევინ ნაითი
მწვრთნელი: ბერნი ბიკერსტაფი
შედეგი წინა სეზონში: 26 მოგება, 56 წაგება

**ატლანტა ჰოქსი**
ლიდერები: ჯო ჯონსონი, ზაზა ფაჩულია, ჯოშ სმიტი, სპიდი კლაქსტონი, ტაირონ ლუ
მწვრთნელი: მაიკ ვუდსონი
შედეგი წინა სეზონში: 26 მოგება, 56 წაგება

**მთელ ნბა-ს** უსუსტეს დივიზიონში მხოლოდ „ნიუ ჯერსის" თუ გამოეყოფა თავი პლეი ოფში. დანარჩენ ოთხეულში ამ ზაფხულს მხოლოდ „ტორონტოში" შეინიშნებოდა ძვრები და უკეთესი მომავლის მოწყობის სურვილი, ხოლო ნბა-ს უძველეს და ტრადიციებით მდიდარ გუნდებს — „ბოსტონს", „ნიუ იორკს" თუ „ფილადელფიას" არც ისე მდიდარი წარმოსახვა აღმოაჩნდათ, რომ ულიმღამო აწმყო მომავალში მაინც გააფერადონ.

პრინციპში არც „ნიუ ჯერსიში" შეუცვლიათ ავეჯისთვის ადგილი. ჯეისონ კიდის, ვინს კარტერისა და რიჩი ჯეფერსონის უკანახაზური სუპერტრიო კვლავ დაემუქრება მეტოქეთა პერიმეტრს, წინა ხაზში კი მზარდ სერბ ნენად კრსტიჩს დაიხმარს. „ნეთსის" მთავარი პრობლემა ჯეისონ კიდის ასაკია — ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი უკვე 34 წლისა მოყრილა და კარიერის დაისზეა.

„ბოსტონსა" და „ფილადელფიას" ბევრი არაფერი შეუცვლიათ — პირველს კვლავ პოლ პირსის იმედი აქვს, ვისაც ვილი შჩერბიაკი შეეხიდება ქულების კეთებაში, თუმც საეჭვოა, ამ ორმა „სელტიქსი" პლეი ოფში გაიყვანოს.

„ფილადელფიას" და მის ლიდერ ალენ აივერსონს მეთოდები მოუძველდათ, ამას უკვე აღარავინ ჭამს. მათ შებერებული კრის ვებერიც ველარ შველით. გუნდში ამიტომაც ჩურჩულებდნენ აივერსონი გავუშვათო, თუმც ეს საქმე ამის იქით აღარ წასულა.

ბედოვლათ „ნიუ იორკს" ალბათ ვერც ამ სეზონში ეშველება, მიუხედავად იმისა, რომ გუნდის პატრონმა ჯეიმს დოლანმა მწვრთნელის სკამზე ძალით დასვა მანამდე მენეჯერობაში დაღლილი აიზია ტომასი და სულ თითი უქნია, ან გუნდს გადამირჩენ და ან შენ ვერ გადამირჩებიო. ჰო, და კიდევ: ამ გუნდმა ცოტა ხნის წინ ნიკა ცქიტიშვილი დაითხოვა.

დიდი ძვრები იყო კანადურ „ტორონტოში". „დინოზავრებს" „მინესოტაში" გაექცათ მატჩში საშუალოდ 20 ქულის მკეთებელი მაიკ ჯეიმსი, მაგრამ სამაგიეროდ, ბებერი კონტინენტიდან ბარე 5 მოთამაშე კანადაში ჩამოიყვანეს, რომელთაგან გამოსარჩევნი არიან: მსოფლიოს ახალი ჩემპიონი, ბებერი ხორხე გარბახოსა, ჯეელი იტალიელი ანტონიო ბარნანი (დრაფტის პირველი ნომერი) და გაევროპელებული ამერიკელი ტონი პარკერი.

**აღმოსავლეთის** ყველაზე ძლიერ და საინტერესო დივიზიონში 5 გუნდიდან არც ერთი არ დაიწუნება. შედარებით სუსტ „მილუოკისაც" კი აქვს აღმოსავლეთის რჩეულ „რვეულში" მოხვედრის რეალური პერსპექტივა, სხვები კი საპლეიოფო ვნებას მარტო ამით ვერ დაიკმაყოფილებენ.

რეგულარულ ჩემპიონატში დივიზიონის ბოლო წლებში უცვლელ ყოჩ „დეტროიტს" რეალური მეტოქე გამოუჩნდა და ეს გახლავთ „ჩიკაგო", რომელსაც მაიკლ ჯორდანის ეპოქიდან (1998) მოყოლებული პირველად გაუჩნდა ხმამაღალი სიტყვის თქმის საშუალება. ჩიკაგოელმა „ხარებმა" „დეტროიტს" ნამდვილი ბულა მოსტაცეს — ოთხგზის სეზონის საუკეთესო დამცველი ბენ ვოლესი და ფარქვეშეთში ამ დევს რომ დაიყენებენ, სულ „გათავხედდებიან" მათი ისედაც თამამი უკანახაზელები — გორდონი, ჰაინრიხი, ნოჩიონი და დენგი.

„დეტროიტს" კი მძლავრი ხუთეული ოთხეულად (ბილაფსი, ჰამილტონი, პრინსი, რ. ვოლესი) ექცა, თუმც ბენის შემცვლელად „სან ანტონიოდან" ცენტრი ნაზრ მეჰამედი გადაიბირა და საჩემპიონო ამბიციებიც ამ ზორბა ბიჭით შეამაგრა.



ბენ ვოლესი დეტროიტიდან ჩიკაგოში გადაბარგდა

მეტს ელიან „კლივლენდისგან", ოღონდ მის ჯეელ ლიდერ ლებრონ ჯეიმსისთვის საყვედური არაკაცს არ დასცდენია. 21 წლის ბიჭისგან მატჩში საშუალოდ 31 ქულაზე, 7 მოხსნასა და 6 პასზე მეტი რა ნამუსით უნდა მოითხოვო, სულ რომ 100 მილიონს აკეთებდეს წელიწადში?! უნდა მოუმატონ მისმა ხელისმომკიდეებმა, დეიმონ ჯონსმა და ლარი ჰიუზმა, თორემ „კავალერია" ვერ დაიპყრობს დიდ სიმაღლეებს და მცირე კენწლაობის მოგების იმედად შეხვდება პლეი ოფს.



ზაზა ფაჩულია შაკილ ონილს კიდევ დაეტოლება

**სამხრეთ-აღმოსავლეთის** სიამაყეა „მაიამი ჰითი", თანამედროვე ნბა-ს ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი. „მაიამი" ნბა-ს დიდ ოჯახში 1988 წელს გაწევრიანდა და 28 წლის შემდეგ ჩემპიონობაც მოიშაკილონილა, თუმც დანაშაულად ჩაგვეთვლება, „ჰითის" ამ ზაფხულის უდიდეს გამარჯვებაში მთავარი მედალი შაკს ჩამოვკიდოთ და ყმაწვილ დუეინ ვეიდს დამსახურება დავუკარგოთ. გუნდის ლიდერი სწორედ ვეიდია და ბევრი რამ მასზეა დამოკიდებული.

დივიზიონში მხოლოდ ჯილბერტ არენასის „ვაშინგტონს" შეუძლია „მაიამისთან" შეტოქება, სხვები ძვრას ვერ უზამენ და ამისთვის არც სცხელათ, მათ თავი აქვს გადასარჩენი და იმდენი გამარჯვება უნდა მოიპოვონ, სეზონის ბოლოს ნამეტანი შერცხვენილები რომ არ შეხვდნენ.

ჩვენებური ზაზა ფაჩულიას „ატლანტა" წლეულსაც ვერ გაიწევს პლეი ოფისკენ, მით უფრო, რომ მეორე ლიდერი ალ ჰარინგტონი „ინდიანაში" გაექცა და გუნდი ჯო ჯონსონისა და ნიჭიერი, მაგრამ გამოცდილებანაკლული ბიჭების ამარა დარჩა. ამ ბიჭებიდან ყველაზე უფრო ალბათ მაინც ფაჩულია გამოირჩევა. წინა სეზონში ის საშუალოდ 11,2 ქულას და 8 მოხსნას იხვეჭდა, რაც 22 წლის მესამეწლიანი მოთამაშისთვის რიგიანი შედეგია.

# დასავლეთის კონფერენცია

## სამხრეთ-დასავლეთის დივიზიონი

### სან ანტონიო სფურზი
ლიდერები: ტიმ დანკანი, ტონი პარკერი, ემანუელ ჯინობილი, მაიკლ ფინლი
მწვრთნელი: გრეგ პოპოვიჩი
შედეგი წინა სეზონში: 63 მოგება, 19 წაგება

### დალას მავერიკსი
ლიდერები: დირკ ნოვიცკი, ჯოშ ჰოვარდი, ჯეისონ ტერი, ჯერი სტეკჰაუზი
მწვრთნელი: აივერი ჯონსონი
შედეგი წინა სეზონში: 60 მოგება, 22 წაგება

### მემფის გრიზლიზი
ლიდერები: პაუ გასოლი, ედი ჯონსი, მაიკ მილერი, დეიმონ სტუდემაიერი
მწვრთნელი: მაიკ ფრატელო
შედეგი წინა სეზონში: 49 მოგება, 33 წაგება

### ნიუ ორლეან ჰორნეთსი
ლიდერები: კრის პოლი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი, დევიდ ვესტი, დესმონდ მეისონი
მწვრთნელი: ბაირონ სკოტი
შედეგი წინა სეზონში: 38 მოგება, 44 წაგება

### ჰიუსტონ როკიტსი
ლიდერები: ტრეისი მაკგრეიდი, იაო მინგი, შეინ ბეტიე, ბონზი ველსი
მწვრთნელი: ჯეფ ვან განდი
შედეგი წინა სეზონში: 34 მოგება, 48 წაგება

## ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონი

### დენვერ ნაგიტსი
ლიდერები: კარმელო ენტონი, კენიონ მარტინი, ანდრე მილერი, მარკუს კემბი, ნენე
მწვრთნელი: ჯორჯ კარლი
შედეგი წინა სეზონში: 44 მოგება, 38 წაგება

### იუტა ჯაზი
ლიდერები: ანდრეი კირილენკო, კარლოს ბუზერი, მეჰმეთ ოქური, დერონ უილიამსი
მწვრთნელი: ჯერი სლოუნი
შედეგი წინა სეზონში: 41 მოგება, 41 წაგება

### სიეტლ სუპერსონიქსი
ლიდერები: რეი ალენი, რაშარდ ლუისი, ლუკ რიდნორი, კრის ვილკოქსი
მწვრთნელი: ბობ ჰილი
შედეგი წინა სეზონში: 35 მოგება, 47 წაგება

### მინესოტა ტიმბერვულვზი
ლიდერები: კევინ გარნეტი, მაიკ ჯეიმსი, რიკი დევისი, მარკო იარიჩი
მწვრთნელი: დუეინ კეისი
შედეგი წინა სეზონში: 33 მოგება, 49 წაგება

### პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი
ლიდერები: ზაკ რენდოლფი, დარიუს მაილზი, ჯო პრჟიბილა, ხუან დიქსონი
მწვრთნელი: ნეიტ მაკმილანი
შედეგი წინა სეზონში: 21 მოგება, 61 წაგება

## წყნარი ოკეანის დივიზიონი

### ფინიქს სანზი
ლიდერები: ამარე სტუდემაიერი, შონ მარიონი, სტივ ნეში, ბორის დიაუ, ლეანდრო ბარბოსა
მწვრთნელი: მაიკ დანტონი
შედეგი წინა სეზონში: 54 მოგება, 28 წაგება

### ლოს ანჯელეს კლიპერსი
ლიდერები: ელტონ ბრენდი, სემ კასელი, კორი მეჯიტი, კუტინო მობლი, ტიმ ტომასი
მწვრთნელი: მაიკ დანლივი
შედეგი წინა სეზონში: 47 მოგება, 35 წაგება

### ლოს ანჯელეს ლეიკერსი
ლიდერები: კობი ბრაიანტი, ლამარ ოდომი, სმაშ პარკერი, ლუკ უოლტონი
მწვრთნელი: ფილ ჯექსონი
შედეგი წინა სეზონში: 45 მოგება, 37 წაგება

### საკრამენტო კინგზი
ლიდერები: მაიკ ბიბი, რონ არტესტი, ბრედ მილერი, შარიფ აბდურ-რაჰიმი
მწვრთნელი: ერიკ მუსელმანი
შედეგი წინა სეზონში: 44 მოგება, 38 წაგება

### გოლდენ სტეიტ ვორიორზი
ლიდერები: ბაირონ დევისი, ჯეისონ რიჩარდსონი, მაიკ დანლივი, ტროი მერფი
მწვრთნელი: დონ ნელსონი
შედეგი წინა სეზონში: 34 მოგება, 48 წაგება

**უძლიერეს დივიზიონში** არაერთი პოტენციური ჩემპიონი ილესავ კბილებს — თუნდაც „დალასი", ან „სან ანტონიო". რამდენიმე თვის წინ პლეი ოფში „დალასმა" დაძაბულ, სერიაში დასცა ჩემპიონი „სან ანტონიო", მაგრამ ძალა ბოლომდე ველარ მიჰყვა და დიდ ფინალში 2:0 დაწინაურების შემდეგ აღმოსავლელ მაიამის ზედიზედ 4 თამაში და ტიტული დაუთმო.

ახლა ისედაც ძლიერმა და გრძელსკამიანმა დალასელებმა 3 გამოცდილი მეპლეიოფე დაიმატეს — ენტონი ჯონსონი, ოსტინ კროშერი და დევინ ჯორჯი. ისინი ეცდებიან, რომ დირკ ნოვიცკი, ჯოშ ჰოვარდი და ჯეისონ ტერიმ რეგულარულში რაც შეიძლება ნაკლებად დაიხარჯონ და საჩემპიონო რბოლას ჯანზე შეხვდნენ.

„სან ანტონიოს" ბევრი არავინ დაუმატებია, იქით გაუშვა ნაზრ მუჰამედი, რომელსაც ხუთეულში სავარაუდოდ ექსდენვერელი ფრანცისკო ელსონი შეცვლის, მაგრამ გრეგ პოპოვიჩისთვის მთავარი ისაა, რომ დანკანი, პარკერი და ჯინობილი ჰყავს ჯანმრთელად.

მოძლიერდა მესამე ტეხასური გუნდი „ჰიუსტონიც". რაკეტებმა „მემფისს" კარგი დამცველი შეინ ბეტიე ააცინცლეს, სკამზე ბერძენი სპანიელისი დაისვეს და თუ ლიდერები — ტრეისი მაკგრეიდი და იაო მინი ტრავმებს გადაურჩნენ, ეს გუნდი ბევრს გაამწარებს.

„კატრინასგან" სახლმინგრეული „ნიუ ორლეან ჰორნეთსი" შინაურ მატჩთა დიდ ნაწილს კვლავ ოკლახომი სიტიში გამართავს და გვარიანი მხარდაჭერაც გარანტირებული აქვს, რაკი კიდევ უფრო მოძლიერდა პრედრაგ სტოიაკოვიჩის, ბობი ჯექსონისა და ტაისონ ჩანდლერის შემატების შემდეგ.

არავინ იცის, რა ეშველება „მემფისს". ლიდერი პაუ გასოლი იაპონიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე დაემტვრა (ჩემპიონი კი გახდა), შეინ ბეტიე კი უფრო სამხრეთ და თბილ „ჰიუსტონში" გაუფრინდა და ზედიზედ ოთხი პლეი ოფის შემდეგ ახლა ალბათ რეგულარულში დაამთავრებს სეზონს.



დირკ ნოვიცკი ჯერაც საჩემპიონო ბეჭედს ელის



დენვერელთა ლიდერი კარმელო ენტონი

**„ეს არ ვარგა**, ის ვარგა; ეს არ გვინდა, ის გვინდა!.." — „მინესოტას" ლიდერი კევინ გარნეტი ეს ბოლო წლებია ზედმეტს იღებს საკუთარ თავზე და გუნდის სელექციაში ცხვირს ყოფს. ბოლოს კი ისე გამოდის, რომ მას მარტოს უწევს მთელი გუნდის თრევა. ამ თრევა-რყევაში კი როიალი აიშალა და საკალათბურთო მელოდიების ნაცვლად ღრჭიალებს და ჟღრიალებს. პლეი ოფში ზედიზედ 8-ჯერ გასული „მგლებიც" (1997-04) ბოლო ორი წელია, მშიერი კუჭით და გადმოგდებული ენებით დაწანწალებენ.

ახლაც საკითხავია, „ტიმბერვულვზი" მოახერხებს თუ არა რეგულარული სეზონის საპლეიოფო სვლით მარშირებას. ამ გუნდმა შეიძლება, ნებისმიერი ადგილი დაიკავოს პირველიდან მეოთხემდე, ისევე, როგორც „იუტამ", „სიეტლმა" და „დენვერმა". „პორტლენდი" გამოკვეთილი აუტსაიდერია და მისგან ბევრი არაფერია მოსალოდნელი.

გადაურჩება თუ არა ტრავმას რუსული „კალაშნიკოვი" ანდრეი კირილენკო? აი, „იუტა ჯაზის" მარადიულ თავკაც ჯერი სლოუნის მთავარი თავსატკივარი. ბოლოს და ბოლოს კარლოს ბუზერიც ხომ უნდა მოფერიანდეს? დერონ უილიამსმა და მეჰმეთ ოქეთმაც თუ შარშანდელივით ითამაშეს, „ჯაზი" პლეი ოფშიც დაუკრავს.

საშუალო გუნდის იარლიყის აძრობას ეცდება „დენვერ ნაგიტსი". მისი ლიდერი კარმელო ენტონი ზღაპრულ ფორმაშია, წინა სეზონში მატჩში საშუალოდ 26 ქულას იხვეჭდა, იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკის ნაკრებს ლიდერობდა და ახლაც რა ეშმაკი უჩხვლეტს? მთლიანობაში „დენვერს" საკმაოდ კარგი შემადგენლობა ჰყავს, მწვრთნელიც ჭიპმოჭრილია და ვნახოთ, როგორ გამოჭედავს საკუთარ წარმატებას.

**ამ საინტერესო** დივიზიონის მინი-მიმოხილვა ისტორიულად ყველაზე ცუდი გუნდის ხსენებით დავიწყოთ. „ლოს ანჯელეს კლიპერსი" მუდამ უფროსი ძმის „ლეიკერსის" ჩრდილში იჩაგრებოდა, წინა სეზონში კი თავისი სიტყვის თქმაც გაბედა და ძალიან ხმამაღლაც გამოუვიდა. პლეი ოფში ხომ ულაპარაკოდ გავიდა, იქ „დენვერი" დაჩაგრა და მეორე წრეში „ფინიქს" ბოლომდე ეჭიდავა. 3:3 ანგარიშზე მეშვიდე თამაშიც რომ მოეგო, მეორე წრეში პირველად გასული ამ ეტაპსაც გაივლიდა და სულ გადარევდა ამერიკულ საკალათბურთო საზოგადოებას. მწვრთნელ მაიკ დანლივის გუნდის გენერალურმა მენეჯერმა, ლეგენდარულმა ელჯონ ბეილორმა ბიჭებიც სულ სანაქებონი შეუკრიბა — ელტონ ბრენდი, კორი მეჯიტი, სემ კასელი, კუტინო მობლი, კრის კამანი, შონ ლივინგსტონი. ახლა მათ ექსფინიქსელი ტიმ ტომასიც დაემატათ. მოკლედ, კლიპერსელებს მადა ჭამაში მოუვიდათ.

„კლიპერსი" ალბათ წლეულსაც აჯობებს „ლეიკერსს, რომელსაც მართალია, კობი ბრაიანტი და ფილ ჯეკოსნი ჰყავს, მაგრამ სხვა ხეირიანი რომ არავინ ჩანს?! ლამარ ოდომი, კვეიმ ბრაუნი და სმაშ პარკერი (ჯერ სახელები ნახეთ) ბევრს ვერაფერს შეცვლიან.

„კლიპერსს" პასიფიკის ლიდერობაში ისევ „ფინიქსი" შეეცილება, ვისაც ამარე სტუდემაიერი მოუჯანმრთელდა და მისი, სტივ ნეშის და შონ მერიონის ტრიო ჩვეულად აიკლებს მეტოქეთა დაცვას.

ძველებურად ველარ ყოჩობს „საკრამენტო კინგზი". ეს გუნდი ზედიზედ 8 წელი გადიოდა პლეი ოფში და იმის იქითაც, მაგრამ დასავლეთის ფინალს რომ ვერა და ვერ გასცდა, მფლობელებმა — გევინ და ჯო მალოფებმა კლუბის ისტორიაში ყველაზე წარმატებულ მწვრთნელ რიკ ადელმანს კარისკენ მიუთითეს, მის სკამზე კი ერიკ მესელმანი დასვეს, რომელმაც ერთ-ერთი საგამოფენო თამაშის მოგებით ისე გაიხარა, რომ გამოთვრა და პოლიციის გასაგრილებელად გაიხადა თავი.

ახალი თავკაცი ჰყავს უხეირო გოლდენ სტეიტსაც". ეს გუნდი პლეი ოფში ბოლოს 1994 წელს გავიდა, მაშინ მას დონ ნელსონი წვრთნიდა. ამდენი უიღბლობით და საყოველთაო დაცინვებით შეწუხებულმა კლუბის პატრონებმაც თავის შველა იმით განიზრახეს, რომ ნელსონი დააბრუნეს, მიუხედავად იმისა, რომ ბაბუა დონი მალე 70 წლის გახდება.



მრავალი წლის შემდეგ დონ ნელსონი „მეომრებს" ისევ გაწვრთნის

# ბოისა: ულებ-ის ქულები



**ორშაბათს** „სიენა“ — „ალბას“ მატჩით გაიხსნა ევროლიგის შვილობილი და ევროპის რანგით მეორე საკლუბო ტურნირი ულებ-ის თასი. ეს იმ გუნდების შეჯიბრია, რომლებიც მთლად გრანდები არ არიან, თუმც რომ მიუშვა, არაერთ ბობოლას გადათელავენ.

მთელი ეს ტურნირი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ მასში ვლადიმერ ბოისა თამაშობს. ვოვა ევროლიგას ნაჩვევი კაცია, თუმცა მისი გუნდი გასულ სეზონში შიდა და საერთაშორისო სარბიელზეც ჩაფლავდა, რაც გახდა კიდეც „სიენას“ ევროლიგიდან ულებ-ის თასზე „ჩამოტურნირების“ მიზეზი.

ჰოდა, ამ შეჯიბრის გახსნის მატჩში თამაშის პატივი სიენელებს ხვდათ წილად და მათ შინ გერმანული „ალბა“ იოლად დაამარცხეს. სერია A-ში უფერული თამაშის ფონზე ვლადიმერ ბოისა გერმანელებთან ჩინებულად გაისარჯა. ის გახდა მატჩის საუკეთესო ჩამჭრელი — ოციოდ წუთში 5 ბურთი ასწაპნა მეტოქეს.

ბოისა არც მექულეობაში იყო რიგითი — 8 ქულას მოუყარა თავი, რომელთა უმეტესობაც სწორედ მაშინ მოაგროვა, როცა ჯიუტად მებრძოლი გერმანელებს სიენელებმა განაჩენი გამოუტანეს.

„ალბამ“ წელებზე ფეხი დაიდგა და „სიენას“ საწყისი ორი მეოთხედი მოუგო. გერმანელები დიდი შესვენებიდან 8-ქულიანი ჰანდიკაპით დაბრუნდნენ, თუმც მესამე მეოთხედში ვლადიმერ ბოისამ და ტერელ მაკინტირმა ერთმანეთს ხელი გადახვიეს და „ალბას“ ძმურად ჩაუგდეს 16 ქულა. შედეგად „სიენას“ ჩამორჩენა ათქულიან ლიდერობაში გადაიზარდა და გერმანელების საქმეც აქ მოთავდა — იტალიურმა გუნდმა გერმანული 79:63 დაამარცხა.

ასე რომ, „სიენამ“ გამარჯვებით დაიწყო ულებ-ის თასი და როგორც ევროპელი სპეციალსტები ამბობენ, სწორედ ეს გუნდი იქნება თასის მოგების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატი.

„ალბას“ გარდა „სიენას“ ჯგუფში კიდევ ეს გუნდები თამაშობენ: რუსული „ხიმკი“, ბულგარული „აკადემიკი“, ებრაული „ჰაპოელი“ და ბელგიური „ოსტენდე“.

**ირაკლი პერტაია**



# ერევნული ვერცხლ-ბრინჯაო
## მოჭიდავეები განახლებულ ფალავანთა კლუბს ელიან



დავით მოძმანაშვილმა ერევნიდან ვერცხლი წამოიღო



**თავისუფალი** სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ისედაც უხვმოსავლიანი სეზონი კიდევ შვიდი მედლით გაამდიდრა. 28-29 ოქტომბერს ერევანში სტეფან სარქისიანის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა და მასზე ევროპის უძლიერესმა მოჭიდავეებმა მოიყარეს თავი. ქართული გუნდი კი სომხეთში გადახალისებული და გაფართოებული შემადგენლობით ჩავიდა. ნაკრების თავკაცმა ზაზა თურმანიძემ ძირითადი ნაკრების წევრები დაასვენა და ამ ეტაპზე თავის გამოჩენის შანსი მეორე-მესამე ნომრებს მისცა. დავით ხურციამ და მარლენ ოსიყმაშვილმა ერევანში ახალგაზრდული გუნდი იახლეს.

„ტურნირის წარმომადგენლობით მხარეს თუ გავითვალისწინებთ, ჩვენი ნაკრების გამოსვლა აუცილებლად დადებითად უნდა შეფასდეს — გვითხრა გუშინ ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *ომზარ შოშიტაშვილმა* — ახალგაზრდებს თავის გამოჩენის შანსი მიეცათ და ბრწყინვალედაც გამოიყენეს. ლერი ქეთიშვილმა (84კგ) და დავით მოძმანაშვილმა (96) მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლები წააგეს. გიორგი ბალიაშვილმა (60კგ), კობა კაკალაძემ (66კგ), არჩილ ქიტიაშვილმა (84კგ), ბელდუხ გავაშელიშვილმა (96კგ) და ბაჩანა კარანაძემ (120კგ) კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. მართალია, ოქროს გარეშე დავრჩით, მაგრამ ეს ნაკლებადა სანერვიულოა. წარმოიდგინეთ, მასპინძელებმა უძლიერესი შემადგენლობითაც კი ვერ შეძლო, თუნდაც ერთი ოქროს მედალი აეღო. ჩემპიონები ბულგარელები, რუსები და ყაზახი გახდნენ. ქართულ გუნდს სომხეთში თემურ ყაზარაშვილიც ახლდა, რომელიც ტურნირზე მსაჯად იყო მიწვეული“.

ძირითადი ნაკრებისთვის 2006 წლის სეზონი ამ ტურნირით დასრულდა, ახალგაზრდებს კი კიდევ მოუწევთ ხალიჩაზე გასვლა. 3-5 ნოემბერს სტამბოლის საერთაშორისო ტურნირზე ქართველი ბერძენ-რომაელები და თავისუფლებიც იჭიდავებენ. ვლადიმერ ადეიშვილმა და ნუგზარ სხირელმა თურქეთში 8-8 შეგირდი წაიყვანეს.

ამასობაში ფალავანთა კლუბში დიდი სარემონტო სამუშაოებია გაჩაღებული. განახლებული ვაკის დარბაზის პრეზენტაცია სავარაუდოდ ერთ თვეში მოეწყობა. იქამდე კი მოჭიდავეებს თბილისის სხვადასხვა დარბაზებში მოუწევთ ვარჯიში.

**ოთარ მაღლაკელიძე**





მანოლო საისი

# საპნის ოპერა საპნის ბუშტივით გასკდა
## საისი იბრძვის, ულრიხი ელის

**ერთგვარად** უცნაურად, თუმც კი მოსალოდნელი შედეგით დასრულდა საპნის ოპერასავით სერიალებად გაწელილი ყბადაღებული „ფუენტესის საქმე“.

სკანდალურად ცნობილი ესპანელი ექიმის ეუფენიო ფუენტესის საიდუმლო სიებში ვითომ მოხსენიებული და ფუენტესთან ურთიერთობაში ეჭვმიტანილი ბარე ორმოცდაათამდე ველოსიპედისტი, მათ შორის კი ისეთი სახელოვანები, იან ულრიხი და ივან ბასო რომ არიან, წლევანდელი „ტურ დე ფრანსის“ დაწყების წინ მოკვეთეს რბოლებიდან და მაშინ აგორებულ სკანდალს ახლაღა დაესვა წერტილი.

საქმე იმაშია, რომ ვერავის ვერაფერი დაუმტკიცდა და ოდენ ეჭვების გამო სპორტსმენთა კარიერის დანგრევის უფლება არავის აქვს. ამიტომაც იყო, იტალიის ველოფედერაციამ ბასო უდანაშაულოდ რომ ცნო და 2007 წლისთვის ნებისმიერი გუნდის სახელით გამოსვლის უფლება მისცა. და აი, ორიოდე დღის წინ იტალიელთა მაგალითს მიბაძა მთავარმა ბრალმდებელმა — ესპანეთის სამეფო ველოფედერაციის სპორტულმა კომიტეტმა სამხილების არარსებობის გამო „ფუენტესის საქმესთან“ დაკავშირებულ ყველა მრბოლს მოუხსნა ბრალდება და მომავალი სეზონისთვის ასპარეზობის უფლება მისცა.

გამოძიება მხოლოდ ყოფილი ესპანური გუნდის „ლიბერტი სეგუროსის“ (ახლანდელი ყაზახური „ასტანა“) სპორტული დირექტორის მანოლო საისისა და მეორე ესპანური გუნდის „კომუნიდად ვალენსიანას“ ყოფილი დირექტორების ვისენტე ბელდისა და ხოსე-იგნასიო ლაბარტის მიმართ გრძელდება, თუმცა თავად საისი იქით უჩივის ანტისადოპინგო „ოპერაცია პუერტოს“ ორგანიზატორებს და მათ დოკუმენტების ფალსიფიკაციაში სდებს ბრალს. ამავდროულად საისი აცხადებს, რომ „ლიბერტი სეგუროსის“ ბაზაზე შექმნილ „ასტანას“ რბოლებში მონაწილეობის იურიდიული უფლება არა აქვს, რადგანაც გუნდის ლიცენზია თავად საისს ეკუთვნის.

ჯერაც გაურკვეველია ორი იტალიელი და ორი გერმანელი მრბოლის, მათ შორის იან ულრიხის ბედი, მაგრამ ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ მალე ისინიც მიიღებენ ინდულგენციებს და შესაბამისად, სხვების მსგავსად რეაბილიტირებულნი იქნებიან.

ასე რომ, 2007 წლის ერთ-ერთი ხმაურიანი ველოსკანდალი, ფაქტობრივად, უამრავი ფუჭი ზალპისა და განცხადებების შემდეგ უხმაუროდ და უშედეგოდ დასრულდა. ახლა პასუხს მეორე ყბადაღებული ველოსკანდალი ელის — „ტურ დე ფრანსის“ ფაქტობრივი გამარჯვებულის, მაგრამ შემდეგ დოპინგის მიღებაში მხილებული და მოკვეთილი ფლოიდ ლენდისის საქმე ჯერაც ძიებაშია და შედეგად, „ტურის“ ორგანიზატორები ვერც ამერიკელს ართმევენ ჩემპიონის სარგო ყვითელ მაისურას და ვერც მეორე ადგილზე გასულ ესპანელ ოსკარ პერეირო სიოს აცხადებენ ჩემპიონად.



იან ულრიხმა სამომავლოდ გუნდის ძებნა დაიწყო

## ჩოგბურთი

# ირაკლი ლაბაძემ გამარჯვება გაიხსენა



**წლევანდელი** უიმბლდონის მეოთხე წრეში გასვლის შემდეგ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელს ირაკლი ლაბაძეს სარეიტინგო ტურნირებზე გამარჯვების გემო დავიწყებული ჰქონდა და აი, ნავსი გერმანულ ააჰენში მიმდინარე 50 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე ჩელენჯერზე გატყდა.

აახენის ჭერქვეშა ხალიჩაზე ირაკლის პირველი მეტოქე ამერიკელი კევინ მაკდაფი იყო და ქართველმა იოლად — 6:2 6:3 იმარჯვა. მეორე წრეში ლაბაძის მოწინააღმდეგე მესამე ნომრად განთესილი ბელგიელის დირკ ნორმანისა და ჰოლანდიელი იეს ჰუტაგალენგის შეხვედრაში გაირკვეოდა.

სამწუხაროდ, ვერ შეძლო კანადის ქალაქ კვებეკში WTA-ს ეგიდით მიმდინარე 175 ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში მოხვედრა ანა ტატიშვილმა. ნორჩმა ქართველმა საკვალიფიკაციო ეტაპის ორი წრე კი გაიარა, მაგრამ მესამე შეხვედრაში გამოცდილ ამერიკელ ლილი ოსტერლოსთან 3:6 3:6 დამარცხდა და ასპარეზობა დაასრულა.

**ოთარ მხეიძე**

# შანხაიმ პარიზი დაამცრო

## კიმ კლაისტერსი კორტს უბრუნდება


სებასტიან გროჟანი

| მასტერსი<br>პარიზი. საფრანგეთი<br>ხალიჩა (დარბაზი)<br>საპრიზო 2 450 000 $ |
|---|

**პირველი წრე**

**დანიელე ბრაჩიალი** (იტალია) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:3 6:4; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — ანდრეა სეპი (იტალია) 6:2 6:4; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 6:1 7:6; **კრისტოფერ როხუსი** (ბელგია) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 4:6 7:6 6:4; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — ფლორენ სერა (საფრანგეთი) 3:6 6:3 7:6; ხუან-იგნასიო ჩელა (არგენტინა) — **პარადორნ შრიჩაპანი** (ტაილანდი) 6:3 3:0 *(უარი)*; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 6:4 7:6; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ნიკოლა მაჰუ (საფრანგეთი) 6:1 7:6

**მეორე წრე**

**დმიტრი ტურსუნოვი** (15, რუსეთი) — ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი) 6:3 5:4 *(უარი)*; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — დავიდ ფერერი (11, ესპანეთი) 6:3 6:4

| ქალები<br>კვებეკი. კანადა<br>ჰარდი (დარბაზი)<br>საპრიზო 175 000 $ |
|---|

**პირველი წრე**

**ოლგა პუჩკოვა** (8, რუსეთი) — ვალერი ტეტროლი (კანადა) 6:0 6:2; **მარტინა სუხა** (სლოვაკეთი) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:4 6:2; **ალექსანდრა ვოზნიაკი** (კანადა) — ალიონა ჟიდკოვა (რუსეთი) 6:4 6:2; **შენეი პერი** (6, აშშ) — მელინდა ცინკი (უნგრეთი) 6:2 3:6 6:3; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — ელენა კოსტანიჩი (ხორვატია) 6:4 6:4

| ქალები<br>ჰასელი. ბელგია. ხალიჩა<br>(დარბაზი). საპრიზო 175 000 $ |
|---|

**პირველი წრე**

**კაროლინა შპრემი** (ხორვატია) — ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) 6:4 6:2; **ვერა ზვონარიოვა** (6, რუსეთი) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 7:6 6:1; **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — ელენა ბოვინა (რუსეთი) 6:4 6:2; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — აი სუგიამა (6, იაპონია) 0:6 6:3 6:4; **კრისტენ ფლიპკენსი** (ბელგია) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 4:0 *(უარი)*

**დასასრულს** მიუახლოვდა მორიგი საჩოგბურთო სეზონი — ეს კვირაც და მერე წლის შემაჯამებელი ტურნირებილა დარჩება, ამიტომაც ბევრი გასარკვევ-გასარჩევი ალარაფერია დარჩენილა. ქალებში საუკეთესო რვა უკვე გარკვეულია და 6 ნოემბრიდან ისინი მადრიდში დაეტაკებიან ერთმანეთს. მათი უმრავლესობა ახლა ისვენებს და სეზონის დასკვნითი ჯახისთვის ძალებს ინახავს.

ერთადერთი შემორჩენილი ინტრიგა კი შანხაიში, მასტერსის თასზე წამსვლელთა შემადგენლობის საბოლოო დაკომპლექტებაა — სამ შემორჩენილ ადგილზე ხუთი ჩოგბურთელი აცხადებს პრეტენზიას. ეს ყველაფერი სწორედ რომ პარიზის მასტერსზე გაირკვევა.

მაგრამ პარიზელი მაყურებელი მაინც უკმაყოფილოა. არა აქვთ საბაბი თუ რა, საფრანგეთის დედაქალაქში ხომ ფაქტობრივად მთელი საჩოგბურთო ელიტა არ ჩასულა — არც როჯერ ფედერერი, არც რაფაელ ნადალი, არც ივან ლიუბიჩიჩი და არც ენდი როდიკი. ეს ხალხი ხომ დღეს ჩოგბურთის სახეს წარმოადგენს.

გუშინ პირველი სენსაციაც გამოცხვა — ისედაც მეჩხერად მყოფ ფავორიტებს კიდევ ერთი, მეთერთმეტე ნომერი დავიდ ფერერი გამოაკლდა, რომელსაც რობი ჯინეპრიმ გამოუყვანა წირვა. თითქმის მთელი წლის განმავლობაში ლეთარგიულ ძილში მყოფი ამერიკელი სეზონის ბოლოს ცოტა გამოცოცხლდა და ახლა ესპანელს იოლად გაუსწორდა.

მოიგო მარატ საფინმაც. რუსმა მასპინძლებსაც აწყენინა, რადგანაც ნიკოლა მაჰუ დასცა, თან ამისთვის ორი სეტი ეყო. დმიტრი ტურსუნოვმა კი ერთთვიანი შესვენების შემდეგ პირველად გაუსინჯა გემო გამარჯვებას. ამერიკაში მცხოვრები ეს რუსი ბოლო ხანებია, თამაშს თამაშზე აგებდა, მაგრამ ნავსი ნიკოლას ალმაგროსთან გატეხა, რასაც ხელი ესპანელის ტრავმამაც შეუწყო.

პარიზელები სებასტიან გროჟანმა გაახარა, როცა ქსავიე მალისს გადაურა. ისე, ფრანგს ამ ბელგიელის დამარცხება უკვე ჩვეულებად ექცა — ცხრაჯერ შეხვდა და ამდენჯერვე გააკრა კორტს. გროჟანის წარმატება ყველაზე მეტად ტომი რობრედოს არ ესიამოვნებოდა. შანხაიში მოსახვედრად მებრძოლ ესპანელს, რომელსაც პარიზში რაც შეიძლება, შორს გასვლა ესაჭიროება, ადგილობრივთა ფავორიტთან შეხვედრა გულზე სულაც არ ეხატება. მართალია, ურთიერთშეხვედრებში რობრედო 4-2-ს უგებს გროჟანს, მაგრამ პირინეელმა ოთხჯერვე თიხნარზე მოიგო, ახლა კი თამაში დარბაზში, თანაც ხალიჩაზე იქნება.

ქალთა ტურნირებიდან ბელგიურ ჰასელში დაწყებული შეჯიბრია გამოსაყოფი. მიზეზი კიმ კლაისტერსის სამთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ კორტზე დაბრუნებაა. მოგეხსენებათ, ბელგიელმა ტრავმა აშშ-ს ღია პირველობის წინ მიიღო და იმის მერე მკურნალობდა. ალბათ ამ წელს საერთოდაც დაისვენებდა, მაგრამ კიმის განცხადებით, მას მადრიდის ტურნირზე თამაში სწადია და ამიტომ მშობლიურ კორტებზე სათამაშო პრაქტიკის მიღება უნდა.

ჰასელს კი ერთბაშად სამი სლავი დაემშვიდობა. აქედან ორმა ტრავმების გამო ვერ შეძლო მატჩების დასრულება, ვერა დუშევინა კი მისმა სეხნიამ და თანამემამულემ ზვონარიოვამ დაამწუხრა.

**ბაჩა ლომაშვილი**

## ჭადრაკი

# პოლგარმა ტოპალოვი შავებითაც გაათამაშა

**ჰოლანდიურ** ჰუუგევენში ესენტის სუპერტურნირი დასრულდა.

მსოფლიოს ექსჩემპიონმა, ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა საკმაოდ წარუმატებლად იასპარეზა და ბოლოსწინა, მესამე ადგილი დაიკავა. ექვსი შეხვედრიდან მან ორი მოიგო, ერთი ყაიმით დაასრულა და ასპარეზობა 2,5 ქულით ჩაამთავრა.


იუდიტ პოლგარი

საუკეთესონი უნგრელი იუდიტ პოლგარი და აზერბაიჯანელი შაჰრიარ მამედიაროვი იყვნენ. მათ 4,5-4,5 ქულა დააგროვეს და პირველ-მეორე ადგილები გაიყვეს.

გადამწყვეტი ბოლო ტური გამოდგა. ტოპალოვი თეთრი ფიგურებით პოლგარს დაუპირისპირდა. ბულგარელი მოგების შემთხვევაში პირველ ადგილზე გასვლის შანს ჯერ კიდევ ინარჩუნებდა და ამან თამაშს მეტი ინტრიგა შესძინა.

მეტოქეებმა ნიმცოვიჩის პარტია გაითამაშეს და თავიდანვე იერიშებს შეუდგნენ. პოლგარმა ლაზიერის ფლანგიდან განავითარა შეტევა, უპირატესობა მოიპოვა და ისევე, როგორც პირველი წრის პარტიაში, ამჯერადაც დაამარცხა მრისხანე მეტოქე.

რუსმა ივან სოკოლოვმა სუპერტურნირზე მხოლოდ 0,5 ქულა მოინაგრა და ბოლო ადგილზეც დარჩა.

**ლაშა გეგეჭკორი**

## ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

30 ოქტომბერი

**ლოს ანჯელესი 4:1 რეინჯერსი**
*2:0 2:1 0:0*
1:0 სოპელი (6), 2:0 სოპელი (11), 3:0 ფროლოვი (22), 3:1 შენაჰენი (38), 4:1 ევერი (40)

**კალგარი 2:4 ვაშინგტონი**
*0:0 1:2 1:2*
1:0 ჰუსელიუსი (27), 1:1 ზუბრუსი (29), 1:2 ზედნიკი (36), 1:3 ზედნიკი (41), 2:3 იგინლა (43), 2:4 ზუბრუსი (60)

**ფილადელფია 3:0 ჩიკაგო**
*1:0 0:0 2:0*
1:0 ფორსბერგი (8), 2:0 ფორსბერგი (52), 3:0 განიე (60)

**სენტ ლუისი 5:6 ანაჰაიმი**
*1:1 2:2 2:2 0:0*
*(0:1 ბულიტები)*
1:0 ბეკმანი (1), 1:1 მლოენი (12), 1:2 ბოშმენი (26), 1:3 მარჩანტი (34), 2:3 სტემპნიაკი (35), 3:3 უაიდმენი (37), 3:4 ს. ნიდერმაიერი (43), 3:5 პენერი (44), 4:5 ტკაჩუკი (55), 5:5 დვორჟაკი (59)

**ტორონტო 4:2 ატლანტა**
*3:1 0:0 1:1*
0:1 კოვალჩუკი (9), 1:1 ტაკერი (10), 2:1 კაბერლე (11), 3:1 ტაკერი (11), 4:1 ონილი (57), 4:2 ლარსენი (58)


ტორონტოელმა დარსი ტაკერმა ატლანტელ კარი ლეჰტონენს ორჯერ გაუტანა

ბომბარდირები: იარომირ იაგრი (რეინჯერსი) 18 (3+15), მარიან ჰოსა (ატლანტა) 17(10+7), ილია კოვალჩუკი (ატლანტა) 17(9+8), მაქსიმ აფინოგენოვი (ბუფალო) 17 (6+11), პეტრ სიკორა (ედმონტონი) 15(7+8), მაიკლ ნიულანდერი (რეინჯერსი) 15(2+12), სიდნი კროსბი (პიტსბურგი) 15(6+9), ჰენრიკ სედინი (ვანკუვერი) 15(2+13), დერსი ტაკერი (ტორონტო) 15(9+6), დანიელ ბრიერი (ბუფალო) 15(3+12).

გოლეადორები: ბრენდან შენაჰენი (რეინჯერსი), მარიან ჰოსა, კრის დრური (ბუფალო) 10-10; ბრაიან როლსტონი (მინესოტა), კოვალჩუკი, ტაკერი 9-9; ალექსანდრ სემინი (ვაშინგტონი), ერიკ სტაალი (კაროლინა) 8-8.

ასისტენტები: იაგრი 15; ჯო ტორტნონი (სან ხოსე), ჰ. სედინი 13-13; ბრიერი, როდ ბრინდამორი (კაროლინა), ნიულანდერი 12-12; რეი უიტნი (კაროლინა), აფინოგენოვი 11-11.

ნაყოფიერების კოეფიციენტი: ტომაშ ვანეკი (ბუფალო) 11; ჰენრიკ ტალინდერი (ბუფალო), დანიელ სედინი (ვანკუვერი), ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 10-10; ჯეისონ პომინვილი (ბუფალო) 9.

# ჩემპიონთა ლიგა 2006-2007. ჯგუფური ეტაპი IV ტური

## A ჯგუფი

### ბარსელონა 2:2 ჩელსი

1:0 დეკუ (3), 1:1 ლამპარდი (52), 2:1 გუდიონსენი (58), 2:2 დროგბა (90)
ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, მარკესი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ხავი (ინიესტა 83), მოტა (ედმილსონი 57), მესი, დეკუ, რონალდინიო, გუდიონსენი (ჟიული 77)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
ჩელსი: ილარიო, ბულარუზი (ჯ. კოული 75), რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, ესიენი, მაკელელე, ლამპარდი, ბალაკი (პ. ფერეირა 90), დროგბა, რობენი (კალუ 73)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ლამპარდი, რობენი, ე. კოული, მესი, მოტა, გუდიონსენი, ედმილსონი, ჯ. კოული, ტერი, ესიენი
მსაჯი: სტეფანო ფარინა (იტალია)
98 000 მაყურებელი

### ლევსკი 0:3 ვერდერი

0:1 მიხაილოვი (33ს.კ.), 0:2 ბაუმანი (35), 0:3 ფრინგსი (37)
ლევსკი: მიხაილოვი (მიტრევი 46), მილანოვი, ტოპუზაკოვი, ტომაშიჩი (ე. ანგელოვი 57), ვაგნერი, ბორიმიროვი, ს. ანგელოვი, ერომოიგბე, ტელკისკი (დიმიტროვი 69), იოვოვი, ბარდონი
მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი
ვერდერი: ვიზე, ფრიცი, მერტესაკერი, ნალდო, ვომე (პასანენი 85), ფრინგსი, ბაუმანი (ანდრეასენი 78), ვრანიეში, დიეგო, კლოზე, ჰუნტი (კლასნიჩი 74)
მწვრთნელი: თომას შაფი
გაფრთხილება: ვომე, ვრანიეში, ბაუმანი, ვაგნერი
მსაჯი: მატეო ტრეფოლონი (იტალია)
36 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| ვერდერი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| ბარსელონა | 4 | 1 | 2 | 1 | 8:4 | 5 |
| ლევსკი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:13 | 0 |

## B ჯგუფი

### სპარტაკი 0:1 ინტერი

0:1 კრუზი (1)
სპარტაკი: კოვალევსკი, შიშკინი, ჟირანეკი, შტრანცლი, კ. როდრიგესი (კავენაგი 46), კოვაჩი, მოცარტი, ბისტროვი (კოვალჩუკი 46), ტიტოვი, ბოიარინცევი, პავლიუჩენკო
მწვრთნელი: ვლადიმირ ფედოტოვი
ინტერი: ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, ბურდისო, ფიგუ (გროსო 72), ძანეტი, დაკური, სტანკოვიჩი, კრუზი (სოლარი 84), იბრაჰიმოვიჩი
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)
60 000 მაყურებელი

### ბაიერნი 0:0 სპორტინგი

ბაიერნი: კანი, სანიოლი, დემიკელისი, ვან ბუიტენი, ლამი, ლელი (ხ. დოს სანტოსი 46), ოტლი, სანტა კრუზი (ქარიმი 80), სალიჰამიჯიჩი, მაკაი, კ. პიზარო
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
სპორტინგი: რიკარდუ, მ. კანეირა, ტონელი, ანდერსონ პოლგა, ტელო, პარედესი (ფარნერუდი 52), კუშტუდიუ, მუტინიუ, მარტინში (ნანი 46), დიალო (ბარბოსა 77), ლიდსონი
მწვრთნელი: პაულუ ბენტუ
გაფრთხილება: ვან ბუიტენი, დემიკელისი, კუშტუდიუ, ლიდსონი
მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
66 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:0 | 10 |
| ინტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| სპორტინგი | 4 | 1 | 2 | 1 | 2:2 | 5 |
| სპარტაკი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |

## C ჯგუფი

### ლივერპული 3:0 ბორდო

1:0 ლუის გარსია (23), 2:0 ჯერარდი (72), 3:0 ლუის გარსია (76)
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ლუის გარსია (ფაულერი 78), ჯერარდი, ხაბი ალონსო (ზენდენი 57), სისოკო, კრაუჩი (პენანტი 73), კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბორდო: რამე, ფობერი, ჟემალი, სიდი, მარანჟე, ფერნანდო, დუკასე, მიკუ (მავუბა 75), ვენდელი, დარშევილი (ობერტანი 59), შამახი (ე. პერეა 12)
მწვრთნელი: რიკარდო გომეში
გაფრთხილება: სისოკო
გაძევება: ფერნანდო (67)
მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
41 978 მაყურებელი

### პსვ 2:0 გალათასარაი

1:0 სიმონსი (59), 2:0 კონე (84)
პსვ: გომეში, კრომკამპი (კულინა 46), ალექსი, და კოშტა, სალსიდო, ე. მენდესი, სიმონსი, კოკუ, აფელაი (ვაირინენი 76), ფარფანი, ა. კონე (აისატი 86)
მწვრთნელი: რონალდ კუმანი
გალათასარაი: მონდრაგონი, საბრი, რ. სონგი, ტომაში, ორჰანი, ჰასან შაში, ინამოტო, აიჰანი, თურანი (ჯიჰანი 66), უმით ქარანი (ჰაქან შუქური 79), ილიჩი (ნეჯატი ატეში 70)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
გაფრთხილება: თურანი, ჯიჰანი, ინამოტო
გაძევება: ტომაში (38)
მსაჯი: მარტინ ჰანსონი (შვედეთი)
35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| პსვ | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 10 |
| გალათასარაი | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |
| ბორდო | 4 | 0 | 1 | 3 | 0:5 | 1 |

## D ჯგუფი

### რომა 1:1 ოლიმპიაკოსი

0:1 ჟულიო სეზარი (18), 1:1 ტოტი (66)
რომა: დონი, პანუჩი, ფერარი (პეროტა 46), მექსეში, კივუ, ტადეი, დ. პიზარო, დე როსი, აკვილანი (ვუჩინიჩი 63), ტონეტო, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ჟევლაკოვი, კოსტულასი, ჟულიო სეზარი, დომი, მარიჩი (კაფესი 90), სტოლტიდისი, პაცაცოღლუ (ანატოლაკისი 65), რივალდო, ჯორჯევიჩი (ბორხა 86), კონსტანტინუ
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
გაფრთხილება: კოსტულასი, ჟულიო სეზარი, კონსტანტინუ, ჯორჯევიჩი, პიზარო, ნიკოპოლიდისი, ტოტი
მსაჯი: ოლეგარიუ ბენკუერენსა (პორტუგალია)
35 000 მაყურებელი

### შახტარი 2:2 ვალენსია

1:0 ჟადსონი (2), 1:1 მორიენტესი (18), 2:1 ფერნანდინიო (28), 2:2 აიალა (68)
შახტარი: შუსტი, სრნა, ჩიგრინსკი, ჰუბშმანი, რაცი, ფერნანდინიო (დულიაი 89), ლევანდოვსკი, მატუზალემი, ჟადსონი, აგაჰოვა, ბრანდაო (მარიკა 75)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, დ. ნავარო (უგო ვიანა 87), მორეტი, ანგულო, ალბიოლი, ედუ, სილვა, ვილია (რეგეირო 90), მორიენტესი (ხოაკინი 77)
მწვრთნელი: კიკე სანჩეს ფლორესი
გაფრთხილება: ბრანდაო, ჰუბშმანი, ვილია, სრნა, ლევანდოვსკი, მატუზალემი, ანგულო
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
21 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 4 | 3 | 1 | 0 | 10:5 | 10 |
| რომა | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| შახტარი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:10 | 2 |

# მაურინიუ მუხლებზე

## დროგბამ თავისიანებიც გადარია და სხვისიანებიც

**გუშინდელ** სალიგო დღეს, სხვაც რომ არაფერი მომხდარიყო, ის ერთი გოლიც ეყოფოდა მეხსიერებაში ღრმად ჩასაბეჭდად. ჩელსელი ფრენკ ლამპარდის გოლზე მოგახსენებთ, რომლის მსგავსი წელიწადში კი არა, წელიწადებში ერთხელ გადის. როგორი საქმეა, ზედ კუთხურის ხაზზე დატრიალდე და იმგვარად ჩაახვიო, რომ ბურთი მეკარეს გადაევლოს თავზე და ბადეში აფართხალდეს.

ეს დიდებული გოლი გავიდა მატჩში, რომელშიც პირველი გოლი მესამე წუთზე გავიდა, ბოლო კი მესამე წამატებულზე.

„ბარსელონამ“ თავიდანვე თავბრუ დაახვია „ჩელსის“. დეკუს საჯარიმოს კუთხიდან დარტყმულ ბურთს ვერც ორი ჩაწოლილი მცველი გადაეფარა და მეკარის ნახტომიც ამაო იყო. მეათე წუთისთვის კატალონიელებს თამაშის ჩაკვლაც შეეძლოთ, მაგრამ ლეო მესის ბრწყინვალე გარღვევა რონალდინიომ ვერ დაასრულა ზუსტი დარტყმით, არადა, ხელსაც არავინ უშლიდა.

პირველი ტაიმის ბოლო კი ლონდონელებისა იყო. ასე განსაჯეთ, რამდენიმე წუთი მეტოქის ნახევარზე გადასვლას ვინ ჩივის, „ბარსა“ საკუთარი საჯარიმოდან გამოსვლას ვერ ახერხებდა. იმ წუთებში ვალდესმა ორჯერ იხსნა კარი ნაღდი გოლისგან.

შეტევის იშტა „ჩელსის“ მეორე ტაიმშიც გადაჰყვა და თავში ნახსენები ჯადოსნური გოლიც მალევე გავიდა. თამაშის შემყურე კაცი კი უთუოდ იფიქრებდა, რომ „ბარსელონას“ საქმე წასული იყო.

სწორედ ამ დროს გაიბრწყინა რონალდინიომ, რომელსაც პირველ ტაიმში იმ ერთი ცუდი დარტყმისა და ერთიც კარგი პასის მეტი არაფერი გაუკეთებია. ბრაზილიელი, რომ ეხერხება, იმგვარად დაუსხლტა ბულარუზს და ისეთი პასი გაუჭრა ეიდურ გუდიონსენს, არგატანა შეუძლებელი იყო.

„ბარსელონა“ მეორედ დაწინაურდა, ლონდონელთა საპასუხო იერიშები კი ისე მწვავედ ველარ გამოიყურებოდა, როგორც პირველი ტაიმის ბოლოს და მეორეს დასაწყისში. და მაინც — ის, რამაც ჟოზე მაურინიუ სიხარულისგან მუხლებზე დასცა, ექვსი წამატებული წუთიდან მესამეზე მოხდა. ჯონ ტერიმ და დიდიე დროგბამ ისე გაინავარდეს მასპინძელთა მეკარის ბაქანში, მხოლოდ უმაღლესი კლასის ფეხბურთელები რომ ახერხებენ და დროგბამ ბოლო დარტყმით „ბარსელონას“ საქმე ძალიან გაურთულა — კატალონიელები ჯგუფში მესამე ადგილზე ჩავარდნენ. ისიც ვთქვათ, რატომ დაამატა მსაჯმა თამაშს ექვსი წუთი — ათ ყვითელ ბარათს ლამის ამდენივე გაწევ-გამოწევა და მოედანზე ექიმების შემოსვლა მოჰყვა.




ფრანგებს გოლი
სტივენ ჯერარდმაც უთავაზა

„ჩელსი“ თითქმის მერვედფინალშია, „ბარსელონამ“ კი მეორე ადგილი „ვერდერს“ გაუცვალა.

გერმანელების გასაკეთებელი გუშინ „ლევსკის“ მეკარემ გააკეთა და თუ ლამპარდის გოლის გარდა, რომელიმე სხვა დიდხანს დაგვამახსოვრდება, სწორედ მიხაილოვის ავტოგოლი იყო. მცველის დაგორებული ბურთი ბულგარელთა მეკარეს აეჭრა და კარის ხაზს მიღმა გადაგორდა. სასაცილო გოლი იყო, მაგრამ ერთი მიხაილოვის გულშიც ჩავიხედოთ, ამ გოლის მერე თავადაც რომ აიჭრა და კიდევ ორი გაუშვა.

სხვა ჯგუფებში კი გამორჩეული სამი გუნდის მერვედფინალში გასვლაა: „ლივერპული“, პსვ და „ვალენსია“ უკვე გაზაფხულისთვის ემზადებიან.

**კოტე კეკელია**

## ინგლისი

### ჩემპიონატი XV ტური

ძოვენთრი 0:1 ბირმინგემი
ლესტერი 2:1 სტოკი
ლუთონი 0:2 ბარნლი
ნორვიჩი 1:1 კოლჩესტერი
პლიმუთი 1:1 იფსვიჩი
პრესტონი 4:1 ლიდსი
უენსდი 3:2 კრ. პალასი
საუთენდი 2:3 ჰალი
სანდერლენდი 1:2 კარდიფი
ვესტ ბრომვიჩი 3:3 ქუინზ პარკი

### LDV VANS TROPHY. II ეტაპი

პიტერბრო 1:0 სუონსი
აკრინგტონი 4:4 (პენ.4:2) ბლეკპული
ჩელტენემი 3:2 ბარნეტი
ჩესტერი 3:0 სტოკპორტი
ჰარტლპული 1:3 დონკასტერი
მენსფილდი 3:0 გრიმსბი
მილუოლი 2:0 ბორნმუთი
ნოტინგემი 2:1 ბრენტფორდი
როჩდეილი 1:1 (პენ.0:2) ძრიუ
შრიუსბერი 2:1 იოვილი
ტრანმერი 0:1 დარლინგტონი
უიკომბი 0:2 როვერსი

## შვედეთი

### ალსვენსკა. XXV ტური

ჰამარბი 1:0 გეფლე

## ხორვატია

### პირველი დივიზიონი XII ტური

დინამო 1:0 რიეკა

## ირლანდია

### ასოციაციის თასი ნახევარფინალი გადათამაშება

დერი 5:0 სლიგო


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აბულედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge